

140 /  
1972 / 2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԻՄՈՒՅՅ



**ՀԱՄԵՇԱ**

**5**  
**1972**

# მაკალო გზნებით

ლილარ ივარია

ფიქრის, მხოლოდ ფიქრის  
დაუღლელი ფრთებით,  
მომავალში მიქრის  
ჩვენი მძლავრი სმები,  
მაგრამ დღეთა იქით  
წარსულითაც ვთბებით.  
წარსულის გზას სერავს  
თვალთა ჩვენთა მზერა  
და იქნება, მჯერა,  
მარად ის სიმღერა,  
დაიბადა რაიც  
პიონერულ ჰიმნად,  
აპრილსა თუ მაისს,  
რომ დაიდო ბინა.  
როცა ჩვენი ხალხი,  
ვით მქუხარე გალდა,  
შემოქმედი ახლის  
მიიწევდა მალდა,  
გაიკვირგა მაშინ  
პირმშო დღეთა ნათლის,  
აუუღერდა ხმაში  
მზეგრძელობა მართლის.  
გვახსენდება თრთოლვით,  
საოცარი გზნებით  
დღეს ლეგენდის გოლი,  
აწ ჩავლილი გზები;





# კამეზა

5

მაისი  
1972

საპარტიო-საბიუროკრატიული  
კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის  
სოციალისტური კომუნალური სახლის  
აქტიურობის განყოფილება

ბათუმის 1926 წლიდან

საქ. კვ. მ.-ის  
გამომცემლობა

მაგრამ განა ერთი,  
მაგრამ განა ათი,  
მის გამირობას ერთვის  
გზა ათასი, მნათი.  
პიონერულ ფიცით,  
პიონერულ მარშით  
ჩვენი ხალხის,  
მიწის  
არ დარჩება ვალში.

### II

ნახევარი საუკუნე  
ყელსახვევთა ცეცხლით ნათობ, —  
დოღს და საყვირს აგუგუნებ,  
ეჯიბრები ცაში მნათობს.

ყელსახვევი ალისფერი,  
შენს ნორჩ მკერდზე  
ღელვით მღერის.

დაიბადე დიად დროში  
და მომავლის სურათს ქარგავ, —  
დღეს პარტია ძღვევის დროშით  
გიფრთხილდება, როგორც ნარგავს.

### III

როდი იყო შენი გზა  
ადვილი და მარტივი,  
შენ ხომ კვირგი იყავი  
ჩვენი გმირი პარტიის.  
ღერწი იყავ, რომელიც  
გარდაიქცა ვენახად, —  
მართალი და მშრომელი  
იყავი და  
შენა ხარ!

ცინე გაუგებავი,  
განძი შესანახავი,  
ხარ,  
იქნები ხელხვათი,  
მუდამ ახალ-ახალი.  
შენ დილა ხარ,  
რომელსაც  
ცხრათვალა მზე უცინის,  
შენ სიმი ხარ წკრიალა,  
აზრი რევოლუციის.  
გმირთა შუქი გაჰყვება  
შენს ნაფიქრალს,  
არჩევანს,  
მერე, ვიცი, შენი გზაც  
საღებენდოდ დარჩება.

### IV

უფროსი ძმა — მხრებგაშლილი,  
გავს იმედად კომკავშირი.

წინ გეძახის მგრგვინავ ბუკით,  
რწმენით,  
ღელვით,  
უქრობ შუქით.

ყური უგდე, შენ გიმღერის  
ეს იმედი ჩვენი ერის:  
„რა ძნელი იყო ყოვლის აგანა,  
გაუკვალავი გზების გაკვალვა,  
ათასმა ეშმაკმა, ათას საგანამ  
ერთი ღალატი როდი გვაკმარა.  
მაგრამ მიზანი არ დაგვითმია  
ჩვენი სიმართლით,

— სინათლის ჩქერით.  
მართლაც ლეგენდა, მართლაც  
მითია,

რაც გვიმღერია  
და რასაც ვმღერით.  
შვიდფერი ღელვის  
ელვის მანგიით  
ბრწყინავს საგმირო  
ჩვენი სახება,—

ჩვენ კვირგები ვართ ბრძენი  
პარტიის,

იმედის,  
რწმენის გადაძახება.  
იმ გრიგალების ჩვენ ვართ  
ღირსება,

ნაყოფი,  
აზრი,  
მარადი სწრაფვა, —  
თუ კი მიზანი შუქით ივსება,  
ჩვენ გველოდება მწვერვალზე  
დაფნა!“

### V

მოდიან მძლე სიმღერებით  
ქართველი პიონერები.  
ღღევანდელი დღის მართვენი,  
ხვალინდელი დღის დიდება, —  
მიზანი მართლაც ნათელი  
არასდროს დაგიბინდდებათ.  
მამათა გზები იწამეთ,  
მამათა გზებით იარეთ  
და თქვენ  
მოარჩენთ მიწაზე  
ყველა გკვილს და იარას.  
ულრუბლო ზეცის სხივებით  
მკერდზე შუქგადანაყარნი,  
მოდიან ჩვენი იმედნი,  
ჩვენი მომავლის მაყარნი.  
სახეზე ღიმი აცყვიათ,  
ნათდება უფრო ვარდობა  
და საქმით უნდათ პარტიას  
უთხრან გულწრფელი მადლობა.

### VI

საქართველოს სიმღერავ,  
ჭალებო და გორებო,  
წინაპართა სახელო,  
ჩანგო ნაამბორებო!  
ოცნებავ და სილაღევ,  
ხვალინდელი ნათელი,  
ახლად დაბადებულო,  
საყვარელი ქართველო,  
გიცავს შენი პარტია,  
პიონერის მშობელი,  
რწმენა შენი ხალხისა  
ზღვისებრ დაუშრობელი.  
პიონერი მარადჟამ —  
გამარჯვების ბადალი,  
ჩვენი დიდი საქმისთვის  
საბრძოლველად მზად არი!  
ის ლენინის პარტიის  
ზრუნვითა გამთბარი  
და ბელადის საქმისთვის  
საბრძოლველად მზად არი!

### VII

ნახევარი საუკუნე  
ყელსახვევთა ცეცხლით ნათობ,  
დოღს და საყვირს აგუგუნებ,  
ეჯიბრები ნამდვილ მნათობს.

დაიბადე დიად დროში  
და მომავლის სურათს ქარგავ,  
დღეს პარტია უკვდავ დროშით  
თავს გევლება, როგორც ნარგავს.



# სახელოვანი იუბილე

## ნათელა ლალიძე,

საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი,  
საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის  
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

მაისი გაზაფხულის ყველაზე ლამაზი თვეა. სწორედ ამ ლამაზ თვეში, 19 მაისს ზეიმობენ ჩვენი ბავშვები პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს.

წლებადელი მაისი კი განსაკუთრებულია: თქვენი პიონერული ორგანიზაცია 50 წლის ისტორიას შეაჯამებს, გაიხსენებს პირველ პიონერულ რაზმებს, იმ ადამიანებს, რომლებიც სათავეში ედგნენ ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობას.

პიონერული ორგანიზაციის ისტორია არის საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა ხალხის, თქვენი მშობლების ახალგაზრდობის, სიჭაბუკის წლები, რომლის პირველი ნაბიჯები უშუალოდ არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის, მისი უახლოესი მეგობრისა და თანაშემწის ნ. კ. კრუპსკაიას სახელებთან.

პიონერულ ორგანიზაციას შექმნის დღიდანვე მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური სახე ჰქონდა; იგი უფროსების, კომკავშირელების, კომუნისტების საქმის ერთგული იყო ყოველ მნიშვნელოვან საქმეში. „ჩვენი ბავშვების ორგანიზაცია — ამბობდა ვ. ი. ლენინი — საუკეთესო საშუალებაა კომუნარების აღზრდისა“.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერულმა ორგანიზაციამ ეს შესანიშნავად დაამტკიცა თავისი ნახევარსაუ-

კუნოვანი ისტორიის მანძილზე. დღეისათვის მის რიგებში ბავშვობის საუკეთესო წლები 150 მილიონზე მეტმა საბჭოთა მოქალაქემ გაიარა.

— დღეს ჩვენ 23 მილიონი ვართ! — ამყად ამბობენ ჩვენი ქვეყნის პიონერები. მათ ხმას უერთებს საქართველოს პიონერთა ნახევარმილიონიანი არმიაც.

მრავალი სასახელო, დასამახსოვრებელი საქმეების მონაწილე იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის ბავშვები. არ ყოფილა უფროსების მიერ დაწყებული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე, რაშიც ჩვენს ბავშვებს თავისი წვლილი არ შეეტანათ. გაიხსენეთ უდიდესი მოძრაობა, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში. ეს იყო ბრძოლა წერა-კითხვის უკოდინრობის ლიკვიდაციისათვის, დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის.

დიდმა სამამულეო ომმა დაარღვია ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრება. ფრონტზე წასული მამები ზურგში შესცვალეს დედებმა, თქვენმა ტოლმა გოგო-ბიჭებმა. პიონერები უვლიდნენ დაჭრილებს ჰოსპიტლებში, ფრონტზე წასული მეგრძობლებისათვის აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელს, აგროვებდნენ სახსრებს, რომლითაც უნდა აგებუ-

ლიყო საავიაციო ესკადრიები, მოზდნენ ქარხნებში, ფაბრიკებში, საკომეურნეო მინდვრებში. არაერთი მადლობა მიუღიათ საბჭოთა ბავშვებს იმ მძიმე წლებში ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან. მადლოებრების გრძნობით წერდნენ მათ შესახებ გაზეთები.

70-იანი წლების პიონერები შესანიშნავი განმგრძნობნი არიან წინა თაობების საქმიანობისა.

1970 წლის ივლისში, ლენინგრადში გამართულ პიონერთა IV საკავშირო შეკრებაზე, სტარტი მიეცა პიონერული რაზმების საკავშირო მარშს „მზად ვარ“. ჩვენი რესპუბლიკის პიონერებიც აქტიურად ჩაებნენ ამ სახალისო მარშში. გასული ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი საქმე, რომელშიაც თქვენი წვლილი არ შეგეტანათ. დღეს ალბათ არავის უკვირს მცირეგაბარითიანი ტრაქტორები წარწერით — „ქუთაისელი პიონერი“. ეს იმ შრომითი აქციის შედეგი იყო, რომლის შესახებ ბევრს წერდნენ ჩვენთანაც და ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. ხოლო ქუთაისის პიონერთა საქალაქო შტაბის უფროსი თემურ უკლება ჩვენი ქვეყნის 24 პიონერთან ერთად ლენინის საიუბილეო მედლით დაჯილდოვდა. რესპუბლიკაში თქვენმა თანატოლებმა მოიწონეს თბილისელი მოსწავლეების თაოსნობა — „სკოლა — შენი სახლია“, რომელიც ყოველი პიონერისაგან მოითხოვს გაუფრთხილდეს და მოუაროს სკოლის ქონებას. ამ თაოსნობამ სკოლებს ათასობით მანეთი დააზოგვინა.

კომკავშირის XVI ყრილობის დღეგატების მოწოდება — „ისწავლეთ სინდისიერად“ ჩვენი რესპუბლიკის პიონერებისათვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იქცა.

ბევრმა პიონერულმა რაზმმა სწორად აუღო ალლო მარშრუტს — „ცოდნის სამყაროში“. მარშრუტის მიხედვით, რაზმის მუშაობა მარტოოდენ უფრანღში „ხუთიანების“ სიმრავლით არ შემოიფარგლებოდა. წიგნის მოყვარულთა კონკურსებმა, საზრიანთა ტურნირებმა და ოლიმპიადებმა გაზარდეს საგნობრივი

წრებისა და სამეცნიერო საზოგადოებებში გაერთიანებული პიონერების რიცხვი.

19 000 მანეთი — ჩუკოტკელი ბავშვების პიონერთა სასახლის მშენებლობაში — აი ჩვენი რესპუბლიკის ბავშვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილი; ასევე ბევრისმეტყველია მოწოდება — „ტყის აფთიაქის წამლები — ჰანოს საბავშვო ჰოსპიტალს“. თქვენი ხელით შეგროვებული სამკურნალო ბალახები მრავალ ვეტნამელ პატრიოტს მოუშუშებს ქრილობას. თქვენი მზრუნველი ხელის სიტბოს აგრძნობინებს. ეს არის ჩვენი ბავშვების ინტერნაციონალური გრძნობის ნამდვილი საქმიანი გამოვლინება.

„გიყვარდეს შენი სამშობლო, იყავი მზად მის დასაცავად“ — ერთ-ერთი პიონერული კანონია.

ათასობით მოზარდი გაერთიანებულია საბჭოთა არმიის ნორჩ მეგობართა რაზმებში. სასაზღვრო რეჟიმის არაერთი დამრღვევი დაკავებულია რესპუბლიკის „ნორჩ მესაზღვრეთა“ მიერ, მათ შორის ოცი — დაჯილდოებულია მედლით „საბჭოთა კავშირის საზღვრის დაცვისათვის“.

გვიყვარს სპორტი, — ამბობენ ჩვენი ბავშვები და სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას სამხედრო-სპორტულ თამაშში — „ცისკარი“, ეზოებისა და ქუჩების გუნდების თამაშებში, „ტყავის ბურთის კლუბის“ პრიზზე. შეჯიბრებებში — „ნებტუნი“, „მზიარული დელფინი“ 100 000 გოგონა და ბიჭი მონაწილეობს.

თქვენი ორგანიზაციის 50-ე წლისთავის იუბილეს დღეებში, მოიგონეთ თქვენი უფროსები, მეგობრები, პიონერხელმძღვანელები, სამხედრო ნაწილების მეომრები, ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობების კომკავშირელები, რომლებსაც ბავშვობა პიონერული ჰქონდათ და ახლაც თქვენთან ერთად ზეიმობენ ამ ლამაზ დღესასწაულს...

ძვირფასო პიონერებო, გილოცავთ თქვენი ორგანიზაციის დაბადების დღეს! გისურვებთ წინსვლას, შემდგომ გამარჯვებებს თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში!

# პიონერული ფიცი



## მორის ფოსნიჰვილი

მზად ვიყავ, ახლაც მზადა ვარ,  
კვლავ მზად ვიქნები, გჯეროდეს,  
დაგჭირდეს, მნახო, სამშობლოვ,  
გულდაგულ გეწირებოდე!  
მე შენი პიონერი ვარ,  
შენს კალთაში ვარ გაზრდილი,  
შენი სინათლის სხივი ვარ,  
იებით გადაბარდნილი.  
შენი ოცნების კვირტი ვარ,  
გეფიცები და გპირდები,  
სწავლაში, როგორც შრომაში,  
მუდამ პირველი ვიქნები!  
ვფიცავ, პირველი ვიქნები  
მკაში, ძერწვაში, ქსოვაში,  
ტოლს არ დავუდებ არავის  
ვაზის, ხეხილის მოვლაში.  
ვერვინ მაჯობებს ლტოლვაში,  
მიუწვდომელის წვდომაში,  
ვერც ვინ დამჩაგრავს სირბილში,  
ცურვაში, კრივში, ხტომაში.  
ვფიცავ მზის აკვანს, მზის ხელით  
მზის წილ დარწმუნულს ვენახში,  
არ დავთმობ დედაენასა,  
არც ავრევ სხვათა ენაში!  
ვფიცავ და ვფიცავ, რაც ქვეყნად  
სალოცავ-საფიცარია,—  
შენს ღროშას, შენს უკვდავებას,  
მარუხს, ენგურჰესს, დარიალს,  
ვფიცავ, რაც სამერმისოა,  
ვფიცავ, რაც სანუკვარია,  
ვფიცავ, რაც სანატრელია,  
ვფიცავ, რაც საყვარელია,  
შენი ქუჩა და სახლია,  
შენი მთაა თუ ველია,  
ვფიცავ, ვით შენი პაატა,  
მხნე და გულგაუტყხელი,  
ვფიცავ აღისფერ ყელსახვევს,  
მამების სისხლით შეღებილს,  
მშვიდობას, თავისუფლებას,—  
ყველაფერს, რაც დღეს გველირსა,  
რომ კვლავაც ღირსი ვიქნები  
შენი ნათელი გზებისა!



# ჯიონკული ფოლკლი



მარხაში  
„პიონერები“

დიდი ზეიმი იყო 1971 წლის 22 მაისს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. მეფოლადეებს ეწვივნენ ოპერაცია „შავ საბადოში“ გამარჯვებული პიონერები. საიდანა არ ჩამოვიდნენ პიონერულ დნობაზე დასასწრებად: აქ იყვნენ თბილისელი და ბათუმელი, ამბროლაურელი და ახმეტელი, კასპელი და ვალელი, გარდაბნელი და გორელი, ქობულეთელი და ქედელი, ქუთაისელი და სიღნაღელი, ხელვაჩაურელი და ჭიათურელი, ხობელი და გუდაუთელი,

თელაველი და საჩხერელი, მახარაძელი და ლანჩხუთელი, ტყიბულელი და დუშელი პიონერები.  
საზეიმო ხაზზე მოეწყვენ რუსთავის ოცივე სკოლის მოსწავლეებიც. დამთავრდა ოპერაცია „შავი საბადოს“ პირველი ეტაპი. ჩვენი რესპუბლიკის პიონერებმა 350 ტონა ჯართი შეაგროვეს და, აჰა, დადგა ნანატრი დღე — მოსწავლეთა თანდასწრებით უნდა გამოიდნოს „პიონერული ფოლკლი“.  
მწყობრი კოლონა მარშით გაემართა მარტენის საამქროსაკენ. გაიმართა ათწუთიანი საზეიმო ცერემონიალი.  
რუსთავის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ქეთინო კუპრაშვილმა „შავი საბადოს“ პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრება უპატაკა საქართველოს ალკკ ცენტრალური

კომიტეტის მდივანს ნათელა ლალიძეს.  
გამოიტანეს ქარხნის დროშა.  
— ეს ჯართი — ტურბინაა, გემია, ჩარხია, მილია... ეს არის თქვენი დიდი სასახელო საქმე! ბარაქა თქვენ, ამ საპატოო შეჯიბრში გამარჯვებულნი! — ესალმება პიონერებს ნ. ლალიძე.  
ზეიმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: სკკპ XXIV ყრილობის დელეგატმა, მეფოლადე ვლ. მეტრეველმა; თბილისის 48-ე საშუალო სკოლის წარმომადგენელმა ვ. ლლონტმა, ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ დ. ორჯონიკიძემ. რუსთავის პიონერების სახელით იგი მხარს უჭერს თბილისის 48-ე სკოლის თოსნობას, კვლავაც გააგრძელონ ოპერაცია „შავი საბადო“. შეგროვებული 800 ტონა ჯართით ენ-

გურჯისტის გენერატორი დამზადდება და მას „პიონერული“ დაერქმევა.  
— ენგურჯისტის მშენებლები მოგესალმებიან და წარმატებას გისურვებენ, — თქვა ენგურჯისტის წარმომადგენელმა ი. ლურჯაიამ. მან პიონერები ენგურჯისტზე მიიწვია, რათა მათი შეგროვებული ჯართისგან გამომდნარი ფოლადით გაკეთებულ აგრეგატს მოსწავლეთა თანდასწრებით ჩაეყაროს საფუძველი.

აი, დგება ნანატრი წუთები.

უზარმაზარ ესტაკადაზე ქშენით მოიწვეს გამურული ორთქლმავალი, მოაქვს პიონერული ჯართით დატვირთული თუჯის ჩანები. რვა ხახა

მ. მებრძოლი პიონერებს უორის.

საზიგო ცარემონი-ალი დნობის დაწყების წინ. სპ. ალკკ ცკ მდღივანი ნ. ლა-ლიძე ისალმება პიონერებს.

წამიც და მარტინის ლუმილიდან გადმო-იღვრება პიონერული ფოლადი.



დაულია ცეცხლისმფრქვეველ ვეშაპს — რვა ბრძმედი საკვებს ელოდება. თვალდაკვეტილნი შესტკერიან ბავშვები, რა ვირტუოზულად ასწევს ჭკვიანი მანქანა ჩანს, მიიტანს ღუმელთან და ჯართს თავის ჩანთანად ღუმელში ჩაუძახებს. გრიალებს, გუგუნებს, ცეცხლს აფრქვევს ბრძმედი... ალი ემატება ღუმელს, ტემპერატურა 700°-მდე ადის. ნაღობს წი-

დას უმატებენ. აპაჭუნებენ ღუმელს წითელ თვალებს ნათურები პულტზე. იწყება დნობა.

ამასობაში ბავშვები სხვა საამქროებს ათვალეირებენ. ავერ, საგლინავი საამქრო, საქვეყნოდ ცნობილი „დგანი-400“, ბოლოს კი, მართლაც რომ გრანდიოზული სანახაობა იშლება თვალწინ, იწყება ნაღობის გამოშვება!



ფეხდაფეხ დაპყვებოდნენ პიონერები მეტალურგებს, ყურდაცქვეტილნი უსმენდნენ მათს ახსნა-განმარტებას და ღუმელებიდან გამოვარდნილი ალის ათინათი დასთამაშებლათ სახეზე. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ წუთში. აქ, ბრძმედიტან იბადებოდნენ მამათა საქმის გამაგრებელი მომავალი მეფოლადეები.

მთელი წელიწადი ემზადებოდა საქართველოს პიონერია „შავი საბადოს“ ახალი ოპერაციისათვის. „პიონერის“ ეს ნომერი უკვე გამოსული იქნება, როცა პიონერების დიდი ზეიმის დღეებში, რუსთავის ღუმელებთან ფინიში ექნება ამ ჭეშმარიტად დიდი წამოწყების მეორე, დამავირგინებელ ეტაპს.



ჩემო პატარა მეგობრებო!



ირაკლი აბაშიძე,  
პოეტი-აკადემიკოსი.

სულითა და გულით ვულოცავ ყველა ქართველ პიონერს, ჩვენს მომავლის იმედს და თვით ჩვენს მომავალს, ამ დიდ დღესასწაულს.

50 წელი ცხოვრების დიდი გზაა; 50 წლის კაცი უკვე ხანში შესული კაცია; მხოლოდ პიონერია მარად ყრმა, იგი არასდროს ხანში არ შედის, იგი არასდროს მოხუცდება ათასი წლისაც რომ იყოს!

გაუმარჯოს მარადიულ ყრმობას, მარადიულ ახალგაზრდობას!

მიუხედავად იმისა, რომ მე თქვენს ორგანიზაციაზე გაცილებით ხნიერი ვარ, ჩემო საყვარელო პიონერებო, მე ის კაცი გახლავარ, ვინც მთელი ამ ათეული წლების მანძილზე თვალს გადაევნებთ და ხარობს თქვენი თაობების ზრდითა და დავაჟკაცებით, შემდეგ კი სამშობლოს სამსახურში წარმატებით.

კვლავაც იყავით მარად მზად სამშობლოს სამსახურისათვის!

# ფუნქსია

ქარლ  
მახაჩაძე

მხატვარი  
ილ. აბაშვილი

მოთხრობა\*

შეამოსება

ფლოქვების თქარუნმა გამოაღვიძა კაცია. თვალები მოიფშვინტა და გვერდით მწოლარე შვილიშვილს გადახედა. ტყავებში გახვეულ მანუჩარს მშვიდად ეძინა. ნარზე ჩამოჯდა მოხსუცი და ჭალარა წვერი მოიქექა. მერე წამოდგა, სარკმელს მიუახლოვდა. გარეთ ჯერ ისევ წყვილიადი მეფობდა. ფლოქვების თქარათქური თანდათან უახლოვდებოდა საყდარს. კაცია ჩაფიქრდა: ვინ არის ნეტა ამ შუალამისას, მტერი თუ მოყვარე? მალე შეძახილები, აბჯრისა და შუბების ჟღარუნ-ჩხარუნიც გაისმა. კაცია მ ყური მიუგდო. ასე სმენაგამახვილებული იჭვრიტებოდა სარკმილიდან ერთხანს. „ოსმალო!“ — შეჭყყერა ბოლოს, როცა ხმა გაარჩია. ნართან მიიბრინა, მანუჩარი შეანჯღრია და ჩასძახა:

— გაიღვიძე, შვილო! გაიღვიძე, მანუჩარ, თავს ვუშველოთ!  
მანუჩარმა თვალი გაახილა, ერთხანს ბაბუას მისჩერე-

ბოდა, გონს რომ მოეგო, შემფოთებულმა იკითხა:

— რა იყო, რა მოხდა, ბაბუა?

— ოსმალ შემოგვესია, საცაა ჩვენს ჭიშკარს მოადგებიან. ჩქარა, ჩქარა! — კაცია ნარზე ჩამოჯდა და ქალამის ჩაცმას შეუდგა.

მანუჩარი მკვირკვლად წამოხტა, სარკმელთან მიიბრინა და სმენად იქცა. უკვე გალავანთან ისმოდა ხმაური. გულაფანცქალებული მანუჩარი ტანსაცმელს დაუფაცურდა. მოულოდნელად, ჭიშკარზე ატყდა ბრახუნი, ვილაც ქართულად ყვიროდა: ჩქარა, ჭიშკარი გააღეთო.

მანუჩარი და კაცია ვიწრო ქვის კიბოთ ქვევით დაემშენენ და მალე ეზოში გამოვიდნენ. ბალახი დათოშლილიყო, ციოდა. ჭიშკარს ახლა ძელს აძგერებდნენ. გალავნის გადაღმა კი აბჯრის ჟღარუნი, ცხენთა ჭიხვინი და ადამიანთა გნიასი ერთმანეთში ირეოდა. ჩანდა, რომ ჭიშკარს ლაშქარი მოადგა.

— გაიქეცი, შვილო, სამალავ ქვაბ-მღვიმეში შეძვერი, იქ იყავ დრომდე. აბა, ჩქარა!

— შენა, ბაბუა, შენ? — ცრემლი მოერია მანუჩარს.

— ჩემი ნუ გედარდება. მალე!

მანუჩარი სამალავი ქვაბისაკენ გაიქცა, თან უკან-უკან იხედებოდა. კაცია თვალი გააყოლა, მერე ნახევრად დაღეწილ ჭიშკარს გახედა და ეკლესიას მიაშურა.

ათანასე მღვდელი კანკელის წინ ჩამოხლულიყო და ღვთისმშობელს შველას სთხოვდა. იქვე ჩაჩოქილიყვნენ ფერდაკარგული ბერები — იესე და ონოფრე. შიშისაგან კრთოდნენ და ხშირ-ხშირად შემოსასვლელისაკენ იხედებოდნენ. კაცია მღვდელს მიუახლოვდა, მის გვერდით ჩაიმუხლა და წასჩურჩულა:

— მამაო ათანასე, თავს ვუშველოთ, საცაა ჭიშკარს შემომატყრევენ.

მღვდელს ხმა არ გაუცია, კვლავ ვედრებას განაგრძობდა. უცებ ეზო ყიჟინითა და ლითონის ჟღარუნით აივსო. მხედრები ეკლესიაშიც შემოიჭრნენ. კაცია კანკელის უკან კედელს აეკრა და გაიტრუნა. მას აკანკალებული ონოფრე ბერი ამოუდგა გვერდით, რომელიც ხატსა და გამჩენს ბუტბუტით შესთხოვდა გადარჩენას, ურჯულოების ამოწყვეტას.

ორი მხედარი, ეტყობოდათ, ასისთავები, მღვდლის წინ



აი, მოვიდა ის ნანატრი დღეც, რომელსაც ასეთი გულისფანცქალით ელოდით უველანი. და მარტო თქვენ კი არ ელოდით, არამედ ჩვენც, უოფილი პიონერები — თქვენი დედები და მამები, აღმზრდელი მასწავლებლები, უფროსი დები და ძმები.

მთელი ჩვენი ქვეყანა ზეიმობს თქვენი სახელოვანი ორგანიზაციის 50-ე წლისთავს. თქვენ ხომ დიადი სამშობლოს იმედი, ნათელი მომავალი ხართ.

მე ბევრი, ძალიან ბევრი პირადი მეგობარი მყავს თქვენს შორის, მარტო თბილისში კი არა, — სადაც ვცხოვრობ და ვმუშაობ, — საქართველოს თითქმის უველა ქალაქსა თუ რაიონში. ხშირად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს, გვაქვს საქმიანი მიწერ-მოწერა, სწორედ ამიტომ, კარგად ვიცო, რა-ოღენი ალფრთოვანებით ემზადებოდა თითოეული თქვენგანი ამ დიდი თარიღის უოველმხრივ ღირსეულად შეხვედრისათვის. მიხარია, მემამუება, ენერგიას მიათკეცებს თქვენი წარმატებები, თქვენი სიკარგე.

სულითა და გულით გილოცავთ საბჭოთა პიონერიის დიდ იუბილეს. კვლავაც ღირსეული მემკვიდრენი უოფილიყავით წინამორბედი თაობებისა, კვლავაც ბეჯითად ისწავლეთ და იზრომეთ მშობელი ხალხის გულგასახარად!



ვასილ კაპანაძევილი,  
სოციალისტური შრომის გმირი.

შეჩერდნენ. მათ საში მხედარი ამოუდგათ გვერდით. დანარჩენები ცხენებიდან ჩამოხდნენ და ეკლესიას მოედნენ.

— ეი, შენ! — შესძახა ერთმა ასისტავმა, რომელიც, ჩანდა, განდგომილი იმერელი თავადთაგანი იყო. — უხიფათო გზით უნდა შეგვიყვანო ჩხერის ციხეში.

— წყეულიმც იყავ! — შეუტია მღვდელმა. — სამშობლოსა და საქრისტიანოს მოლატევე!

— ნუ მიედ-მოედები, — შეუღრინა ასისტავმა და ხმაღს იკრა ხელი — ბევრი დრო არა გვაქვს, წინ გაგვიძეხი!

ამასობაში ეკლესია გაძარცვეს, გაავერანეს ოსმალო მხედრებმა. ერთი ოქროთი მოგარაყებულ ჩარჩოში ჩასმულ ხატს ეცა და კედლიდან ჩამოგლიჯა, მას წყეველა-კრულვით ეცა ხელებში ბერი იესე. ოსმალომ ხელი ჰკრა. იესე წაბორძიკდა, მაგრამ თავი შეიკავა და კვლავ შეუტია მოძალადეს. ოსმალომ ხმალი იშიშვლა და ყუით მძლავრად დაჰკრა თავში. ბერი ქვის იატაკზე დავარდა და აფართხალდა. კაციათ თვალეები დახუჭა. ონოფრე ბერი კი უფრო მეტად აცახცახდა და აეკრა კედელს. ოსმალომ ჩარჩო დაღეწა, ოქროს ვარაყები და ძვირფასი ქვები ააგლიჯა და ახლა სხვა ხატს ეცა.

— ჩქარა! — დაიღრიალა კვლავ ქართველმა ასისტავმა და ცხენი მღვდელთან მიაგდო.

ათანასე წაბარბაცდა და იატაკს განერთხა. ოსმალო ასისტავი ცხენზე მდელიდურად იჯდა და დამცინავად იღიმებოდა. მისი დამქაშები კი კვლავ აპარტახებდნენ ეკლესიას. განჯინებიდან სქელტანიანი წიგნები გადმოყარეს. მღვდელი ათანასე იქით გახოსხდა და წიგნებს ზედ გადაეფარა.

„არა, მეტის მოქმენა აღარ შეიძლება, — გაიფიქრა კაციათ, — როგორმე უნდა გავიყვანო ეს ურჯულთეები აქედან! — საწყალობლად ატუშული ბერისკენ გადაიხარა და წასჩურჩულა:

— მისმინე, ძმაო ონოფრე, როგორმე აქედან გაიპარე, სამალავ ქვაბში ჩემი მანუჩარი იმალება, უთხარი, გაიქცეს ჩხერის ციხეს, მეციხოვნეები გააფრთხილოს, ხალხი შეჰყაროს. ამათ მე გავუძღვები...

ბერი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, თვალეებ ცრემლით აესებოდა. მერე აგანკალბებული ფეხი ძლივს გადადგა, კედელს ზურგით აკრული გაჰყვა და სენაკში გაძვრა, გაუჩინარდა.

ამასობაში საკურთხეველშიც შემოეხეტა ერთი ოსმალო. კაცია გაუსხლტა მას, ქართველი მხედრის წინ შეჩერდა, თავი დაუკრა და გაბზარული ხმით უთხრა:

— მე გაგიძღვები ჩხერის ციხეში!

— შენ ვინა ხარ, ბებერო! — დაიღრიალა ქართველმა.

— მე აქაური ქვითხურო ვარ, ჩხერის ციხეზედაც მიმუშავნია, ყველა გზა კარგად ვიცო, — მიუგო კაციათ და კვლავ თავი დაუკრა.

ქართველმა ოსმალო ასისტავს რაღაც გადაულაპარაკა, მან ხელი შემართა და ვიღაცას უხმო.

— აბა, გაგვიძეხი! — დაიყვირა ქართველმა ასისტავმა და ცხენი შეატრიალა, ოსმალოს მიჰყვა.

კაციათ მიმოიხედა, იატაკზე გართხმულ მღვდელს დაადგა თვალი, უნდოდა მისულიყო მასთან, ნუგეში ეცა, მაგრამ აქეთ-იქიდან შუბოსანი იანიჩარები ამოუდგნენ. მოხუცმა პირჯვარი გადაიწერა, ღმერთო, შენ გვიშველეთ, ჩაიბუტბუტა და გასასვლელისაკენ გაემართა.

მეუ ამოსულიყო, თბილოდა. სამასამდე იანიჩარი უკვე ამხედრებულყო. დასვენებული ცხენები ცქმუტავდნენ და ფრუტუნებდნენ. იანიჩარმა კაციას კისერზე თოკი მოაბა, მერე ცხენს მოახტა და მოხუცი წინ გაიგდო. დაიძრა ლაშქარი. აქლარუნდა თორ-აბჯარი...

ქვაბ-მღვიმეში შემძვრალ მანუჩარს დიდხანს ესმოდა ადამიანთა ავისმომასწავებელი გნასი, რომელიც ხან უახლოვდებოდა მღვიმეს, ხანაც შორდებოდა. მერე ხმაური თანდათან მიწყდა და ყველაფერი მყუდროებამ მოიცვა. მანუჩარი ერთხანს კვლავ გაუნძრევლად იყო შეყუყული საფარში. მერე მალულად ამოყო თავი და ეკლესიას გახედა. გადათელილ ეზოში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ეკლესიის კარი ღია იყო. გალავნის ჭიშკარი ძირს ეგდო. დაეცეცათ ხის სამრეკლოც. მანუჩარი ქვაბიდან ამოხოსხდა და ის იყო ეზოში უნდა ჩამხტარიყო, რომ კენესა შემოესმა. შეკრთა, ისევ ქვაბ-მღვიმეში ჩამალვა დააპირა. ყური მიუგდო. ქვევით ვიღაც კვნესოდა და გოდებდა, ხშირად მანუჩარსაც ასხენებდა.

„ბაბუა, ნუთუ ბაბუაა?!“ — გაიფიქრა მანუჩარმა და ქვევით გადაიხედა.

კლდის ძირას პირდაღმა იწვა სისხლით მოსვრილი ონოფ-

რე ბერი და კენესოდა. მანუჩარი შეძრწუნდა, აღარ იცოდა რა ექნა, ფეხები დაება.

— მანუჩარ! -- უხმობდა ბერი ხრინწიანი ხმით.

— აქა ვარ. აქ! — წარმოთქვა აკანკალებულმა მანუჩარმა.

ბერი შეირხა, გადმობრუნდა და კლდეს მიეყრდნო, მარჯვენა ხელში წიგნი ჩაებღუჭა. მანუჩარმა შიში დასძლია და ბერთან მიხოსდა.

— ჩქარა, მანუჩარ! — თქვა ბერმა კენესით და ოხვრით, — ჩხერის ციხეში გაიქეცი, მეციხოვნეები გააფრთხილე, სოფლებიც შეპყარე; ციხესთან დახვდით კაციას, იქ მიიყვანს ამ ურჯულოებს. — ონოფრემ ტურები გაილოკა, მერე ბიჭს გასისხლიანებული წიგნი გაუწოდა: — ეს წიგნი წაიღე, სისხლი იქნება მოწმე.

მანუჩარმა ათრთოლებული ხელით გამოართვა წიგნი და აქვითინდა.

— იჩქარე, იჩქარე! ტირილს მერეც მოესწრები. — უთხრა ონოფრემ და თვალი მილულა.

მანუჩარმა წიგნი უბეში შეინახა და ბერს სლუკუნით მოშორდა. ეკლესიის ეზო გადაიბრინა, ჭიშკარს გასცა და ტყის ტყვეს შეერია. იქ საცალფეხო ბილიკს დაადგა. დიდხანს გარბოდა სულმოუთქმელად. სახეს უკაწრავდნენ ხმელი ტოტები, ტანსაცმელს აფლეთდნენ ეკალ-ბარდები.

ქვევით, მდინარის პირას, ოსმალო მხედრებს მოჰკრა თვალი. წინ, ძაღლივით თოკშებმული, კაცია ბაბუა გაეგდოთ. მანუჩარს უნდოდა ეყვირა, ლოდები დაეგორებინა, მაგრამ ყოველივე ეს ამაო იქნებოდა, ვერაფრით უშველიდა საყვარელ ბაბუას. უნდა ერბინა, როგორმე უნდა მიესწრო ჩხერის ციხეში. სული მოითქვა და კვლავ მარდად გასწია. ბილიკი მინდორში გავიდა. აქ ყოველთვის ბალახობდა რემა. ახლაც მათკენ გარბოდა მანუჩარი. ბოლოს რკმაც გამოჩნდა. მანუჩარი წაბლისფერ იაბოს მიუახლოვდა. მკვირცხლად მოახტა და ფაფარში ჩააფრინდა. იაბომაც აღარ დააყოვნა, ადგილს მოსწყდა და მინდორს გაეკრა.

თ ა შ ი მ ე ს ა მ ი

ავტობუსიდან თამრიკო და მზია ჩამოვიდნენ, სწრაფი ნაბიჯით სკოლისაკენ გაემართნენ. ორივეს შარვალი ეცვა, მხარზე ზურგჩანთები მოეგდოთ. სკოლის ეზოში სალაშქროდ გამოწყობილ ბავშვებს მოეყარათ თავი. პირველმა ბექამ დაიანახა გოგონები. თამრიკომ თანაკლასიკლებს თვალი მოავლო და გაკვირვებულმა იკითხა:

— ლეო და ბაადური არ მოსულან?

— ლეო აუცილებლად მოვა, — უპასუხა ბექამ, — ბაადურისა კი რა მოგახსენო, დედა არ უშვებს.

— სად შეუძლია ბაადურს იქ სიარული, ასფალტზე ძლივს დადის. — გაიცინა სოსომ.

— ლეილა მასწავლებელი სად არის? — იკითხა მზიამ.

— სამასწავლებლოში, ავტოსადგურში უნდა დარეკოს. — ხელი გაიქნია სკოლისაკენ ბექამ.

— აი, ნახეთ, თუ არ ჩაგვეშალოს ამდენი ხნის ნამზადი, — ჩაილაპარაკა დუხუნამ.

— დაიწყოთ თავისებურად, — შეუტია თამრიკომ. — შენ ისა თქვი, ფოტოაპარატი წამოიღე?

— კი, — ზურგჩანთას უხალისოდ შემოჰკრა ხელი დუხუნამ.

— ფოტოაპარატი ვიღას უნდა, კინოაპარატი მოაქვს ზაურს! — თქვა ღიმილით ბექამ.

— მართლა? — გაუხარდა თამრიკოს. — სად არის?

— ისიც იქაა, სამასწავლებლოში.

— რა კარგია! ნეტა კინოსცენარი დაგეწერა, ბექა! — ინატრა თამრიკომ.

— კინოსცენარი რა საჭიროა, წინასწარ, ვინ იცის, გზაში რა შეგვემთხვევა. — თქვა დუხუნამ.

ჭიშკართან ავტობუსი მოგრიალდა.

სკოლის შენობიდან პიონერხელმძღვანელი — ლეილა მასწავლებელი და რაზმის ხელმძღვანელი, მეთექვსმეტე სასკოლო გამოვიდნენ. ზაურს ხელში კინოაპარატი ეჭირა. ბავშვები ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ მათ.

— დროს ნულარ ვაცდნენ, წავიდეთ! — თქვა ლეილა მასწავლებელმა და ზაურს მიუბრუნდა: — დააწყვე რაზმი.

— რაზმო, ერთრიგად მოეწყვე! — დაიძახა ზაურმა და კინოაპარატი მოიმარჯვა.

ბავშვები დაფაცურდნენ და სიმაღლის მიხედვით გამჭირვიდნენ.

— ლეო არ ჩანს, ნეტა რა მოხდა, რატომ არ მოდის? — თქვა თამრიკომ შეშფოთებით.

— რაზმო, გაითვალე! — გასცა ბრძანება ზაურმა.

— პირველი! — იყვირა რიხიანად სოსომ.

— მეორე.. მესამე...

— ლეო! — შესძახა უეცრად თამრიკომ და ჭიშკრისაკენ გაიშვირა ხელი.

ყველამ იქით გაიხედა. ლეო მოწყვნილი გამოიყურებოდა. იგი დინჯად გაემართა რიგისაკენ. მხარზე „საეტიულო“ გადაეკიდნა.

— რატომ დაიგვიანე? — უსაყვედურა ლეილა მასწავლებელმა, პასუხს არ დალოდებია, ისე დასძინა: — ჩადექი რიგში.

ლეო უხალისოდ მიუახლოვდა მეგობრებს და თამრიკოს გვერდით დადგა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ჩურჩულით თამრიკომ.

— მისმინეთ, ბავშვებო! — შემოჰკრა ხელი ხელს ლეილა მასწავლებელმა: — სწრაფად ჩავსხდეთ ავტობუსში. მარშრუტის შესახებ გზაში ზაური გვესაუბრება.

— ავტობუსში! — დაიძახა ზაურმა. თუმცა ბავშვები უკვე გარბოდნენ ავტობუსისაკენ.

— რატომ დაიგვიანე? — ჰკითხა კვლავ თამრიკომ გვერდით მიმავალ ლეოს.

— მამა იყო ცუდად.

— რა დაემართა? — შეწუხდა ბექა.

— წუხელ, ნაშუალამევს ცუდად გახდა, სასწრაფოს გამოვუძახეთ, გულის ბრალიაო. — თქვა წყნარად ლეომ.

ავტობუსს მიუახლოვდნენ. ჯერ თამრიკო ავიდა, მერე ბექა და ლეო. ბავშვებს უკვე დაეკავებინათ ადგილები. სოსომ ხელი დაუქნია თამრიკოს, მოდი, შენთვის ადგილი შენახული მაქვსო, მაგრამ თამრიკომ ყურადღება არ მიაქცია და ლეოს გვერდით დაჯდა იქვე მოთავსდა ბექაც. როცა დასდნენ, ლეომ განაგრძო:

— ამ დილით უკეთ იყო, დამიძახა და მითხრა, ნუ გამოაკლდები მეგობრებს, წადიო.

ავტობუსი დაიძრა და მალე პროსპექტზე გავიდა. პიონერხელმძღვანელი მძღოლის კაბინასთან დადგა და გამოაცხადა:

— ბავშვებო, ჩვენი ლაშქრობის მიზანი იცით; უნდა გავვეტოთ ბექას სოფელთან მდებარე ისტორიულ ძეგლს — ჩხერის ციხეს. თქვენ ალბათ იცით, რომ ბექას მიწურ-მოწურა აქვს რიგულ მეგობარ იანთან. ამას წინათ ბექამ კვლავ მიიღო წერილი. იანი სთხოვდა უფრო დაწვრილებით აეწერა ჩხერის ციხე. ჩვენ გადავწყვიტეთ დავხმარებოდით მეგობარს, მოგვეწყობა ლაშქრობა და საფუძვლიანად შეგვესწავლა ეს ისტორიული ძეგლი. მომავალში ასეთივე ლაშქრობებს მოვაწყობთ ყველა თქვენგანის სოფლებთან მდებარე ისტორიულ ძეგლებზე. ახლა კი თქვით, ვის სოფელთან რა ძეგლია?

— ჩემს სოფელთან ნიკორწმინდაა! — დაიძახა დუხუნამ და მეგობრებს თავმომწონედ გადახედა.

— ჩემს სოფელთან — ალავერდი! — იყვირა სოსომ.



ზეპირად ვიცი მისი ასავალ-დასავალი, ალავერდობასაც დავსწრებივარ.  
— ჩემს სოფელთან მარტვილის ეკლესიაა! ხშირად ავდივარ ხოლმე იქ, ძალიან ლამაზია. — თქვა ლერიმ.  
— შე ვყოფილვარ ქვათახევეში, საგურამოში, ზედაზენზე, ჯვარზე... — დაიწყო ჩამოთვლა თამრიკომ.  
— მე... მე ვარძიაში ვყოფილვარ! — დაიძახა მზიამ.  
— შენა, ლეო? — ჰკითხა ლეილა მასწავლებელმა ფანჯარასთან აბუზულ ლეოს.  
— მე სოფელი არა მაქვს, მასწავლებელო! ნახვით კი ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლი მინახავს, მამას დავყვარ ხოლმე.  
— მეც დავყვები მამას!  
— მეც...

— მეც...  
— კარგი, დაწყნარდით! — გაეღიმა ლეილა მასწავლებელს. — ახლა ზაურს მოვუსმინოთ!  
— ზაური ფეხზე წამოდგა, ჩაახველა და დაიწყო:  
— საქართველოში ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლია, განსაკუთრებით — საკულტო და თავდაცვითი ხასიათისა! ყველა ამ ძეგლს საკუთარი ისტორია აქვს. შეიძლება ძეგლი არქიტექტურული ღირსებებით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ მასთან დაკავშირებული ისტორიული ამბები ძალზე მნიშვნელოვანი იყოს ჩვენი ერისა და სამშობლოსათვის...

...ავტობუსი გორს გასცდა. ბავშვები ერთხანს ზაურს უსმენდნენ, მერე იმღერეს, იმზიარულეს. ახლა გასუსულები ის-

ხდნენ. ზოგს თვლენა მოერია, ზოგიც პირველად მოგზაურობდა ამ გზით და გამუდმებით იჭვრიტებოდა სარკმელში. მშვენიერი ამინდი იდგა. ისმოდა შემხვედრი მანქანების ბორბლების შხუილი და გრილი.

— მე გვარიანად მომზივდა, — გადაუჩურჩულა სოსომ მთვლენარე ლერის, — დილით არაფერი მიჭამია.

— მეც მომზივდა, მაგრამ რა ვქნა. — უპასუხა ლერიმ ისე, თვალი არ გაუსხელია.

— რა და, მოგტეხავ პურს... — სოსო ზურგჩანთას მისწვდა, კალთაში ჩაიდო, თავი მოხსნა და შოთ პურს მოზრდილი ნატეხი მოაგლიჯა.

ლერიმ თვალები დააჭყიტა და პირში ნერწყვმომდგარი მიაჩერდა მეგობარს.

— გინდა? — ჰკითხა სოსომ.

— ჰო! — მიიხედა-მოიხედა ლერიმ.

თამრიკო წინ, მზიასთან გადამჯდარიყო და გაცხარებით ჩურჩულებდნენ. მზიამ პური რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა, თამრიკოს მხარი გაჰკრა და ბიჭებისაკენ გამოახედა.

— ვერ მოიცდი ცოტას! — დაიყვირა თამრიკომ.

ავტობუსი გამოცოცხლდა. ყველანი ახმაურდნენ, ზურგჩანთებს დაუფაცურდნენ. პიონერხელმძღვანელს გაეცინა, ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ბავშვებო, ცოტა მოვითმინოთ, ახლოს ცივი წყაროა, იქ შევისვენოთ, ერთად ვისაუზნოთ.

— ეე! — თქვა სოსომ, გაბრაზებულმა თამრიკოს შეუბღვირა, მერე პურს დახედა და ზურგჩანთაში ჩადო.

— ბიჭებო, ბაადური! — იყვირა მოულოდნელად ბექამ და ცხვირი მინას მიაჭყლიტა.

ბავშვები სარკმლებს მიაწყდნენ. ავტობუსს „ვოლგა“ წამოსწვოდა, რომელშიაც ბაადური იჯდა და მეგობრებს უღიმოდა. ისე გახარებული იყო, ლამის ფანჯარაში გამომძვრალიყო. „ვოლგამ“ რამდენჯერმე დააყვირა და ავტობუსს წინ გაუსწრო.

„ვოლგა“ იდგა. ბაადური მანქანიდან გადმოვიდა და მეგობრებისაკენ სახეგაბრწყინებული წამოვიდა. პირველი ბექა შეეგება, ერთმანეთი გადაკოცნეს და დიდი ხნის უნახავებივით მოიკითხეს.

— დედა ძლივს დავიყოლიე, — თქვა ღიმილით ბაადურმა. — ხომ იცი, არსად რომ არ მიშვებს.

ოღლა დედაც გადმოვიდა „ვოლგადან“ და ბავშვებისაკენ გაემართა. მას თამრიკო, ნათელა და მზია შეეგებნენ. ზაურმა კინო-აპარატი აახრიალა და კადრი გადაიღო, მერე კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შესძახა: რაზმო, ერთმწყრივად მოეწყვეო.

ბავშვებს ჯერ გაუკვირდათ, რა საჭიროა მწყრივად მოწყობაო, მერე იფიქრეს, ალბათ ბაადურის გამოო, და დაფაცურდნენ. ბაადური გვერდზე იდგა, არ იცოდა რა ექნა, ჩამდგარიყო თუ არა მწყრივში. პირდაღებული ხან პიონერხელმძღვანელს შეხედავდა ხოლმე და ხანაც რაზმის ხელმძღვანელს.

— მოდი, რატომ არ დგები?! — უთხრა ზაურმა.

ბაადური მწყრივთან მივიდა და ბექასა და ლეოს შორის ჩადგა.

— პიონერებო, — დაიწყო ზაურმა, — მალე ისე დაცხება, ვეღარ ვივლით, ჩხერის ციხემდე კი ფეხით საავალიცა გვაქვს; სჯობს ვიჩქაროთ, გზა განვაგრძოთ.

— რომ გვშია?! — დაიძახა სოსომ.

— ავტობუსში ვისაუზნოთ. ახლა კი სწრაფად შევედგეთ საქმეს. — თქვა ლეილა მასწავლებელმა. — სოსო, შენ და ბექამ წყალი მოიმარაგეთ, თამრიკო, ნათელა და მზია საუზმეს გაამზადებენ.

ბავშვები სწრაფად დატრიალდნენ. ზაურმა კვლავ მიიმარჯვა კინოაპარატით. პიონერხელმძღვანელი ოღლა დეიდასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და საუბარი გაუბა.

საუზმეს რომ მორჩნენ, ავტობუსი დაიძრა და გზატკეცილზე გაყიდა, უკან „ვოლგა“ აედევნა, შიგ მოწყვნილი ოღლა დეიდა იჯდა.



— გააჩერე. გააჩერე! — აყვირდნენ ბავშვები.

— შევით, წყაროსთან გააჩერებ! — მოიხედა შოფერმა. ბავშვები დაწყნარდნენ და თავთავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ.

— კარგი ბიჭია ბაადური! — შეაქო მეგობარი ბექამ.

— წამოსვლა თუ უნდოდა, ადრე უნდა მოსულიყო! — თქვა რაზმის ხელმძღვანელმა, — ეს არ არის მეგობრობა...

— რატომ, ზაურ, — გაუკვირდა პიონერხელმძღვანელს.

— იქნებ რა უჭირდა, მაგრამ მაინც წამოვიდა. ჩემი აზრით, ქების ღირსია.

— ბაადურს ძალიან უნდოდა ჩვენთან ერთად წამოსვლა, — დაიწყო თამრიკომ, — მაგრამ მშობლები თვალიდან არ იშორებენ.

— დედიკოს ბიჭია! — ჩაიქირქილა სოსომ.

— ახლაც თან ახლავს დედა, — თქვა ღიმილით თამრიკომ, — დავინახე. ოღლა დედაც იჯდა „ვოლგაში“.

ავტობუსმა გზიდან გადაუსვია და შეჩერდა. ბავშვები მხიარულად წამოიშალნენ და კარებს მიაწყდნენ. ავტობუსის წინ

— რატომ არ გიშვებს დედაშენი მარტო? — ჰკითხა სოსომ ბაადურს.

— ეგრე რომ დედა გამომეკიდოს... — დაიწყო დუსუნამ და აღარ დაამთავრა, არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა.

ლეო ფიქრებმა გაიტაცა, მამა გაახსენდა. „ნეტა არ წამოვსულიყავი. იქნებ ახლა მამა ცუდადაა და ჩემი ნახვა უნდა რა იქნება ოღლა დეიდას ვთხოვო და უკან დავბრუნდე?!“

— მან თავი ასწია და მეგობრებს თვალი მიაავლო. ყველა ბაადურს მისჩერებოდა, ის კი დარცხვენილი იჯდა და ხმას არ იღებდა.

— მართლა, რატომ დაგდევს ასე? — დაინტერესდა ბექა.

— ბექას მაინც უთხარი, მწერალია, ყველაფერი უნდა იცოდეს! — მიეძალა ლერი.

ბაადურმა უნდოდა გაიღიმა, ჩაფიქრდა და ხმადაბლა, თითქოს დამნაშავეყო, ისე ამოლერდა:

— რა ვიცი, ერთ მკითხავს უთქვამს, შენს შვილს ხიფათი ელისო. მას მერე სულ ეშინია.

ავტობუსმა გზიდან გადაუსვია, სოფლის მოედანზე შეგ-  
რილდა და შეჩერდა. შორიასლოს, ბეოლების ჩრდილში,  
„ვოლგაც“ გაჩერდა. ბავშვები ავტობუსიდან გადმოვიდნენ და  
იქვე შეჯგუფდნენ. ჩხერის ციხეს გზაშივე მოჰკრეს თვალი და  
ახლა ყველა იქით იხედებოდა. ხმამაღლა საუბრობდნენ და  
თვალთ შომავენდნენ მანძილს ციხემდე.

შარაგზა მდინარე ჩხერიმელას მიუყვებოდა. გაღმა გაყ-  
ვითლებული ვენახებით, მოტეხილი სიმინდის ყანებით და  
კორმებით მოხატული ფერდობები მოჩანდა. გვიან შემოდ-  
გომას თავისი ელფერი მიეცა ყველაფრისათვის, ამ ფერთა  
სიუხვეში მიმოფანტული იმერული ოდასახლები მედიდურად  
გამოიყურებოდნენ. ფერდობები მთებად იზრდებოდნენ და  
ზეცას ებჯინებოდნენ. ცის ტატნობი მთებს შორის ლურჯ ზო-  
ლად ლივლივებდა.

სოფლის მოედანს ერთი მხრიდან შარაგზა ფარგლავდა,  
მეორე მხრიდან ღელე ჩაუყვებოდა. ღელის პირას სახერხი  
გაემართათ, აქეთ კი, სოფლის მაღაზიის გვერდით, სამჭედ-  
ლო ხრჩოლავდა.

— ნახეთ, ძროხას კლავენ! — იყვირა შეძრწუნებულმა  
თამრიკომ, ხელი გაიშვირა და დასძინა: — საცოდავი!

ყველამ იქით მიიხედა. სამჭედლოს წინ მიწაზე კისერმოგ-  
რეხილი ხარი ეგდო. ძელზე გაკოჭილი ფეხები ზევით ჰქონდა  
აშვრილი. ძელისათვის სამფეხა შეეყენებინათ. ხარს თავს  
დასტრიალებდა მჭედელი. იქვე სამი მოხუცი გლეხი იჯდა,  
აბოლებდნენ და საუბრობდნენ.

— კი არ კლავენ, — გაიცინა ბექამ, — ხარს ჭედვენ.

— მივიდეთ, მასწავლებლო, ხარის დაჭედვა არ მინა-  
ხავს. — იყვირა დუხუნამ და ფოტოაპარატი მოამზადა.

— მიდით, ოღონდ ჩქარა, დრო აღარ ითმენს.

ბავშვები ხმაურით გაიქცნენ სამჭედლოსაკენ. ზაურმა კი-  
ნთაპარატი აამუშავა. ლეო მორზე ჩამოჯდა. ასეთნაირად წაქ-  
ცეული ხარი არასდროს ენახა, „საეტიუდო“ მორზე დადო,  
გახსნა და ალბომი ამოიღო, ხატვას შეუდგა. „საეტიუდოდან“

რე მჭედელს გახედა და გასძახა: — ჰაი დედასა, რა დამხმარე  
რე მოგივიდა!

დუხუნა სწრაფად შევარდა სამჭედლოში და ბერკეტს წა-  
ავლო ხელი, ჩამოსწია ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... საბერველ-  
მა დაუბერა. ქურაზე შექურებული ნაკვერცხლები გაღვივდ-  
ნენ და გავარჯარდნენ. დუხუნამ მაშა მოიმარჯვა, გამოსაპი-  
რავი ნაჯახი აიღო და ღველფში ჩადო, მერე კვლავ დაუბერა.  
ამასობაში მჭედელი საქმეს მორჩა. ხარს ფეხები შეუხსნა  
და შეუძახა. ხარმა თავისუფლება იგრძნო, სწრაფად წამოდგა,  
კისერს წაიგრძელა და გაიზმორა. ბავშვებს თვალში სიხარუ-  
ლი ჩაუდგათ.

— რაზმო, მოეწყვე! — გაისმა მოულოდნელად ზაურის  
ხმა.

— ეპ! — ეწყინა დუხუნას და სამჭედლოდან გამოვიდა.

ლეილა მასწავლებელი გლეხს მიუახლოვდა, თავაზიანად  
მიესალმა და ჰკითხა:

— გზას ვერ მიგვასწავლით ციხისაკენ?

— რაფა ვერ მიგასწავლით, ბიძია, — უპასუხა ერთმა, —  
მაგრამ მეც იქეთ მივდივარ და ქე გაგიძღვებით წინ!

— ლეო, ჩქარა! — დაუძახა ბექამ ხატვით გართულ მე-  
გობარს.

ლეომ ერთხელ კიდევ შეათვალღერა ნახატი, შეასწორა,  
მერე ალბომი დახურა, „საეტიუდოში“ ჩადო და მეგობრები-  
საკენ გამოიქცა, რიგში ჩადგა.

ოღდა დეიდა სოფლის მაღაზიაში იყო შესული. ზაურის  
ძახილზე გარეთ გამოვიდა. წასასვლელად გამზადებული ბავშ-  
ვები რომ დაინახა, ზაურს მიუახლოვდა, ახლა სად აპირებთ  
წასვლასო, — ჰკითხა. რაზმის ხელმძღვანელმა ხელი ჩხერის  
ციხისაკენ გაიშვირა და მოკლედ უთხრა, უნდა დავლაშქრო-  
თო. ოღლამ ციხეს გახედა და შეიცხადა.

— იქ უნდა ახვიდეთ?! — მერე ბაადურს მიუბრუნდა და  
ხმადაბლა უთხრა: — შენ დარჩი, შვილო, იმ კლდეზე ვერ  
ივლი!

— ვივლი, დედა! — ამოისლუკუნა ბაადურმა.



აკვარელით სახატავი ქაღალდების დასტა გადმოცურდა და  
მორს უკან გაუჩინარდა.

თეთრწვერა მჭედელმა, ბავშვები გარს რომ შემოეხვივნენ  
უფრო თავმოხმწონედ დაიწყო მუშაობა... ჯერ გულდასმით  
აწმინდა ჩლიქები, ძველი ღურსმნები დაადრო, წამონაზარ-  
დები მოთალა, მერე ჩლიქზე ახალი ნალი მოარგო და დიდ-  
თავიანი ღურსმნის ჩაჭედებას შეუდგა. ჩაქურჩი რომ დაჰკრა  
და ხარი შეკრთა, შეტოკდა, გოგონებმა შეჰკივლეს, თამრი-  
კომ თვალეზე აიფარა ხელი.

სანამ სხვები ხარის დაჭედვას გაფაციცებით ადვენებდნენ  
თვალს, დუხუნა სამჭედლოს კართან მივიდა და შიგ შეიხედა.  
ერთი სული ჰქონდა სანამ საბერველს დაუბერავდა.

— შეიძლება? — ჰკითხა დუხუნამ შორიასლოს მჯდარ  
მოხუცს.

მოხუცი ჯერ ვერ მიხვდა, რას სთხოვდა ბიჭი. წამოდგა და  
იმანაც სამჭედლოში შეიხედა, მაგრამ დუხუნამ საბერველისა-  
კენ რომ გაიშვირა ხელი, გაეღიმა. თვალეები მოტუტა და ბიჭს  
წაქეხებით უთხრა: — მიდი, ბიძია, მიდი, დაუბერე, — მე-

— ვერა, ვერ ივლი, დარჩი! — აუწია ხმას დედამ და პი-  
ონერხელმძღვანელს მიუბრუნდა, — ბაადურს ვერ გამოვუშ-  
ვებ, ვერ ივლის.

— ჩვენ დავებმარებით! — უთხრა ლეილა მასწავლე-  
ბელმა.

— გამოუშვით რა, ოღდა დეიდა, გამოუშვით! — აყვირ-  
დნენ — თამრიკო, მზია, ბექა და ლეო. ბაადურს თვალზე  
ცრემლი მოადგა.

— მე ვინ მკითხავს, თვარა... — დაიწყო გლეხმა, —  
თქვენს ბიჭუნას სიარული უფრო მოუხდება!

ოღდა დეიდამ უხმოდ გადახედა გლეხს, მერე ციხემდე  
ერთხელ კიდევ გაზომა თვალთ მანძილი და შვილს გადაჭ-  
რით უთხრა:

— ვერა, ვერ გაგიშვებ!

— რანაირი ხარ, დედა, იცი, რანაირი... -- ახლუქუნდა  
ბაადური და მწკრივიდან გამოვიდა.

ბავშვებმა ერთი ყოყინით გადაიარეს ჩხერიმელაზე გაბ-  
მული ბონდი და აღმართს შეუყვინენ. წინ მოხუცი და პიონერ-  
ხელმძღვანელი მიდიოდნენ.

— ბიძია, ჩხერის ციხეზე ვერაფერს ვერ მოგვიყვებით? —  
იკითხა ბექამ.

გლახმა ციხეს გახედა, ჩაფიქრდა და ღიმილით თქვა. რა-  
ვა ვერ მოგიყვებითო, და დაუმატა:

— ჩემს მენსიერებაში სულ ესეიდან დანგრეული მახსოვს. მა-  
ნაჩემსაც და ბაბუაჩემსაც ასეთი ახსოვდათ. მაგრამ იყო დრო,  
ჩხერის ციხეში სიცოცხლე დულდა თურმე, მტერს თვალს  
უყვებდა, მოყვარეს კი მხნეობას კმატებდა. ბევრის მომსწ-  
რეა მისი კედლები. ვინ აღარ მდგარა შიგ: თათრები, ოსმა-  
ლოები, ქართველები. ხშირად ურთიერთქიშპობაში ქართვე-  
ლები ერთმანეთის სისხლსაც ღვრიდნენ. მეფისგან განდგომი-  
ლი ბევრი ქართველი თავადი გამოკეტულა მაგ ციხეში. ერთ  
დროს ტყვეების ყიდვა-გაყიდვის ბუნაგადაც უქცევიათ ოსმა-  
ლოებს. რომელი ერთი ამბავი მოგიყვებთ, რომ არ ვიცი?

— რაიმე საინტერესო! — დაიძახა სოსომ. — სოლომონ  
პირველზე.

გლახი ერთ ხანს ჩაფიქრებული მიდიოდა, მერე გარს შე-  
მოსხვეულ ბავშვებს მოავლო თვალი და დაიწყო:

— როცა სოლომონ მეფე გამეფებულა, იმერეთი თურმე  
დანაწილებული და დაუძღურებული ყოფილა. იმერეთის მთა-  
ვარი ციხეები ოსმალთა ფაშებს ეჭირათ. აქ ახლოს, შორაპ-  
ნის ციხეში ფაშა ახმედა იჯდა, მისი მეციხოვნეები ჩხერის ცი-  
ხეში იდგნენ. თავგასულად პარპაშობდნენ ოსმალოები, იტა-  
ცებდნენ ბავშვებს თუ მოზრდილებს და ოსმალეთში ჰყიდ-  
დნენ. მრავალი გლახის ოჯახი ატირებულა მაშინ. ოსმალთა  
იანიჩარები ისე იყვნენ თურმე გათამამებულები, რომ ქუთა-  
ისში, მეფის საბრძანებელშიც, თავისუფლად შედიოდნენ.  
ჰოდა, მოხდა ასეთი ამბავი: მეფე ოქროს ჩარდახში, ცაცხვე-  
ბის ჩრდილქვეშ ქვის დიდ მაგიდასთან იჯდა და სადილს  
ილოდა. იქვე ისდნენ მისი ძმა არჩილი, სარდლები — ქა-



ისოსრო აგიაშვილი და პაპუნა წერეთელი, თავს დასტრიალებ-  
დნენ კარისკაცები — თამაზა მესხი, ოტია ჩხეიძე, სურამი მი-  
ქელაძე... მეფე სამშობლოს ბედით ღრმად ჩაფიქრებულიყო.  
სამშარეთლოში კი ამ დროს სადილი მზადდებოდა. შეწვეს  
ცხვარი და ის იყო მეფის სუფრაზე უნდა მიეტანათ, რომ სამ-  
შარეთლოში ერთი იანიჩარი შეხეტიალდა, შებრაწული ცხვარი  
დაყნოსა, მერე ყაზა იზიშვლა, ბარკალი ააჭრა, გემრიელად  
გამოივლო პირში და გზას გაუტია. რალა უნდა ექნათ მშარე-  
ულებს. დაჰკლეს მეორე ცხვარი. იცადა მეფემ, იცადა და, რომ  
აღარ მოართვეს სადილი, იკითხა, რა ამბავიათ. ყველაფერი  
მოახსენეს მეფეს. განრისხდა თურმე სოლომონი, სულ ცეცხ-  
ლსა ჰყრიდა თვალებიდან, ეს უკვე მეტისმეტიაო. შეკრიბა  
ლაშქარი და შემოადგა ციხეებს. ისეთი მეომარი ყოფილა ის  
ცხოხებული, რომ ვერავინ უმკლავდებოდა. დავლურში გა-  
მოიწვია ახმედა ფაშა და თავი გააგდებინა...

— ჩხერის ციხე? — იკითხა ბექამ.

— ჩვენს ციხეს სარდალი აბაშიძე შემოსდგომია. ნაშუალა-  
მეფს ორი იანიჩარი გამოპარულა ციხიდან და ქართველთა  
ბანაკში მოსულა. ჩვენ ქართველები ვართო, ბავშვობისას  
ოსმალეთში გაგვიტაცეს და გაგვიყიდესო. ახლა ისევ თქვენთან  
გვინდა დაბრუნება და ისევ ქართველებად მონათვლაო. ორი-  
ვენი მეფე სოლომონს მიჰგვარეს, მან მოუსმინა ბედით დაჩაგ-  
რულეებს და ბრძანა: რახან ისევ ქართველებად უნდათ მოქ-  
ცევა, აზნაურობა მიბოძებია ორთავსათვისო. ერთი სარდალ-  
მა პაპუნა წერეთელმა მონათლა, მეორე კი — აბაშიძემ. მე-  
რე შეესიენ თურმე ციხეს და სულ ერთიანად ამოკლეს  
ოსმალოები.

მოხუცი გზის გასაყართან შეჩერდა, ბავშვებს ერთხელ კი-  
დევ გადაავლო თვალი და განაგრძო: — ასე მოულო ბოლო  
სოლომონ დიდმა ოსმალთა პარპაშს ჩვენს ეზო-ნიადაგზე.  
— მერე ხელი გაიშვირა და თქვა: — მე ახლა ჩემი გზით წა-  
ვალ, თქვენ კი ამ ბილიკს დაადექით და პირდაპირ ციხესთან  
მიგვიყვანო.

მოხუცი ბავშვებს გამოეთხოვა და წავიდა. რაზმი ხმაუ-  
რით გაჰყვა ბილიკს, რომელიც ბურქებში მიიკლაკნებოდა. ბე-  
ქამ ფეხი აითრია, ლეოს მხარზე ხელი გადაადო და უთხრა:

— აი, აქ, ახლა ჩვენ რომ ვდგავართ, ქართველი მებრძო-  
ლები იდგნენ და ზევით ფრთხილად, პარვით მიიწვეოდნენ. იქ  
კი, ციხეში, ოსმალოები იყვნენ გამაგრებულები დატენილი  
ზარბაზნებით. მე რომ შენს ადგილას ვიყო, ამას ჩავხატავდი.

— ნუ შეჩერდებით, იარეთ! — დაიძახა ზაურმა.

— დაგეწვეით, რალაც უნდა ჩავისატოთ! — უთხრა ბექამ  
და კვლავ ლეოს მიაჩერდა.

— რა უნდა ჩავისატო? — გაუკვირდა ლეოს.

— ზევით, მთის წვერზე, ციხე დახატე, ქვევით კი, ჩვენ  
რომ ვდგავართ, ქართველთა ლაშქარი.

— კარგი აზრია. — მოუწონა ლეომ და „საეტიულო“ მო-  
იმარჯვა, გახსნა და, ის იყო სახატავი ალბომი უნდა ამოედო,  
რომ გაოცებულმა შესძახა: — ფერწერის ქალაქი?!

— რაო? — ბექამაც „საეტიულოში“ ჩაიხედა.

— გერმანული ფერწერის ქალაქები დავკარგე, მამაჩე-  
მის ნაჩუქარი. არც ერთი არ მიხმარია, ბოლოსათვის ვინა-  
ხავდი.

— ალბათ ქვემოთ დაგეკარგა, რომ დავბრუნდებით, ვი-  
პოვნით! — გაამხნევა ბექამ, თუმცა თვითონაც არ სჯეროდა,  
რომ იპოვნიდნენ.

ლეოს იმდენად ქალაქი არ აღარდებდა, მამის ნაჩუქარი  
ქალაქების დაკარგვა ცუდად ენიშნა. გაფითრდა და ხმა  
აუკანკალდა. კვლავ განაგრძეს გზა. წინ მიმავალი მოლაშქ-  
რეები მხიარული ყოყინით უახლოვდებოდნენ ციხეს. ამ ხმა-  
ურმა და შეძახილებმა ბექა ფიქრებით, კვლავ შორს გადა-  
იხროლეს.



ნარკიზა  
შეკლაძე

ბავი?  
და აი, კომკავშირის ცენტრალურ-  
მა კომიტეტმა მიიღო დადგენილება:  
„პიონერული დიდების წიგნის“ შე-  
მოღების თაობაზე.

მაგრამ ამ წიგნის ფურცლები ჯერ  
არ გადაშლილა. ეს ფურცლები მო-  
მავალში შეივსება პიონერების წარ-  
მატებებისა და სიმამაცის ამსახველი  
ჩანაწერებით. ეს პიონერიის ნახე-  
ვარსაუკუნოვანი იუბილეს შემდეგ  
იქნება.

დღეს კი ის პიონერები და მათი  
საქმეები გავიხსენოთ, ვინც ნამდვი-  
ლად მოხვდებოდა „პიონერული დი-  
დების წიგნში“, იგი რომ ამ რამდენ-  
იმე წლის წინათ შექმნილიყო.

დავიწყოთ პატარა გახსენებით:  
ამ რამდენიმე წლის წინათ მახა-  
რაძის რაიონის სოფელ ნატანებში  
ვიყავი. კოლმეურნეობის კანტორის  
შენობაში შინმოუსვლელოთა სტენდს

დერეფანში კედლის გაზეთის მორი-  
გი ნომერი ეკიდა, რომელსაც ეწე-  
რა: „ფაცია გობრონიძის სახელობის  
პიონერთა რაზმის ორგანო“.

ამ სკოლის პიონერებმა უკვე დაწ-  
ვრილებით მიაბნეს, რაც მაინტერე-  
სებდა.

ფაციას და სამხედრო მოსამსახუ-  
რის ცოლი ყოფილა და ქმართან ერ-  
თად დროებით უკრაინაში უცხოვ-  
რია. 1942 წლის ზაფხულში 13 წლის  
ფაცია დასთან წასულა სტუმრად.

მოულოდნელად ქვეყანას თავს  
დაატყდა საშინელი ომი. საქარ-  
თველოში წამოსვლა შეუძლებელი  
გახდა. სოფელში, სადაც ფაცია და  
მისი და ცხოვრობდნენ, გერმანელები  
შეიჭრნენ. ფაციას უფროსი და,  
როგორც საბჭოთა ოფიცრის ცოლი,  
დააპატიმრეს. პაწაწინა დისწულები  
მეექვსეკლასელი გოგონას ანაბარა  
დარჩნენ.

ლამდამობით გაყინულ კარტო-  
ფილს თხრიდა ფაცია დამზრალი მი-  
წიდან, რომ ბავშვები გამოეკვება,  
კომბოსტოს ნარჩენებისაგან წვეინს  
უხარშავდა, უფროს დასთან საჭმე-  
ლი მიჰქონდა.

ერთ საღამოს სოფელში ფაციფუ-  
ცი შეიქმნა. გერმანელები რალაცი-

# პიონერული

# დიდების წიგნი...

ახლაგზრდებისას, ვინც თავდადებუ-  
ლი შრომით, გამორჩეული ნიჭით  
თუ სიმამაცით ასახელა კომკავშირი  
და, ხშირად, — მთელი ქვეყანაც კი;  
ეს წიგნი ერთგვარი ისტორიაა თა-  
ობებისა, რომლებიც სხვადასხვა  
დროს მოვიდნენ კომკავშირში და წა-  
რუშლელი კვალი დატოვეს. აი, ისი-  
ნიც: ელისო გირსალაძე, ზურაბ სოტ-  
კილავა, ნონა გაფრინდაშვილი, თინა-  
თინ ლეკვეიშვილი, ნანა ალექსანდ-  
რია, ალექსანდრე მეტრეველი, ქე-  
თევან გოგიტიძე, რომან რურუა, ვი-  
ნარი სხულუხია და სხვანი და სხვა-  
ნი — საერთაშორისო კონკურსების  
ლაურეატები, მსოფლიოს ჩემპიონე-  
ბი, სოციალისტური შრომის გმი-  
რები...

მაგრამ კანა ცოტა პიონერს უსა-  
ხელებია ქვეყანა სწავლით, შრომით,  
სიმამაცით, მოსაზრებულობით, გმი-  
რობით?

განა ცოტა გამხდარა იმის ღირსი,  
რომ თანატოლებს გაეგოთ მისი ამ-

ვათვალეობები. გამოაცა ქართველი  
პიონერი გოგონას სურათმა. ვიკი-  
თხე, ვინ არის-მეთქი. მითხრეს: ეს  
ბავშვი. ნატანებელი გოგონა ფაცია  
გობრონიძე, ომი რომ დაიწყო, უკ-  
რაინაში იყო სტუმრად დასთანო. იქ  
იგი ფაშისტებს დაუხვრეტიათ. ახლა  
კი დაწვრილებით ცნობებს ვაგრო-  
ვებთო.

ახლახანს კიდევ მოვხვდი ამ მშვე-  
ნიერ სოფელში.

სანამ კოლმეურნეობაში მივიდო-  
დი, სოფლის ახალ სკოლაში შევი-  
არე...

პიონერთა ოთახში კვლავ შექმნ-  
ვდა ნაცნობი სახე — ნაწნავებიანი  
ლამაზი გოგონას პორტრეტი, ხოლო

თვის ემზადებოდნენ. დილით ფაცი-  
ამ საჭმელი წაუღო დას.

— პატივები გუშინ დახვრიტეს,  
— გულგრილად უთხრა ავტომატგა-  
დაკიდებულმა მცველმა, — შენი  
დაც, რახ, რახ, რახ, კაპუტ! — და-  
იღრიჯა ფაშისტი.

გოგონას თვალთ დაუბნელდა.  
გონს რომ მოვიდა, სახეში შეაფურ-  
თხა ჯალათს.

ფაშისტს ბევრი არ უფიქრია, ავ-  
ტომატის ჯერით იქვე დაცხრილა  
გოგონა..

ასე გასწირა სიცოცხლე ნატანე-  
ბელმა პიონერმა ფაცია გობრონი-  
ძემ

აი, ეს ამბავი გაიგეს ნატანებელმა



პიონერებმა, როცა მათი თანამემამულისა და თანატოლის კვალს გაპყვნენ.

...ომის დროს ქართველი პიონერები საუკეთესოდ შრომობდნენ, მთელი თავიანთი ძალღონით ეხმარებოდნენ ფრონტს.

აი, რა სწერია საქართველოს კომკავშირის ისტორიაში:

„1943 წლის იანვარში აჭარის, ცხაკაიას, საჩხერის, ზუგდიდის, გორის, მახარაძის რაიონების პიონერებმა წამოაყენეს წინადადება შეეგროვებინათ თანხები სატანკო კოლონის — „საქართველოს ნორჩი პიონერის“ ასაგებად.

პიონერებმა და მოსწავლეებმა არდადეგების პერიოდში გამომუშავებული შრომადღებებით მიღებული ფული მთლიანად გადაიციხეს სატანკო კოლონის „საქართველოს ნორჩი პიონერის“ მშენებლობის ფონდში. პიონერთა კოლექტივები და ცალკე რაზმები მართავდნენ წარმოდგენებს, კონცერტებს და შემოსავალს აღნიშნულ საქმეს ახმარდნენ. მრავალმა პიონერმა და მოსწავლემ პერსონალურად შეიტანა დიდძალი თანხა.

სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის მოსწავლეებმა და პიონერებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს სამკურნალო მცენარეულობისა და ტყის ხილის შესაგროვებლად“.

ამას წერს ისტორია.

ჩვენ კი ცოცხლად გვახსოვს, რა დიდი გატაცებით აგროვებდნენ ჩვენი უფროსი ძმები და დები ფრონტისათვის ბოთლებს (საწვავით სავსე ბოთლებს მეომრები ტანკების ასაფეთქებლად იყენებდნენ), თბილ წინდებს, ჩურჩხელებს, დოლბანდს წითელი არმიის მებრძოლებისათვის. და თუ რომელიმე სკოლის შენობაში ჰოსპიტალი იყო გამართული; იქ მყოფი დაჭრილების ნამდვილ შეფებად იქცეოდნენ.

მშვიდობის დროსაც ბევრი პიონერისა და მოსწავლის გვარმა მოიარა რესპუბლიკის კურნალ-გაზრეთების ფურცლები.

ქუთაისელმა პიონერებმა წამოიწყეს შემდგომ დიდად განმარტებული „პიონერული ორწლელი“; მათივე თაოსნობით დამზადდა პიონერების ხელით შეგროვილი ჯართისა-

გან 2.000-მდე ტრაქტორი „ქუთაისელი პიონერი“.

ეს დიდი მასშტაბის სამეურნეო საქმიანობაში პიონერთა მონაწილეობის ჩინებული მაგალითი იყო.

ერთ-ერთი ამ თაოსნთაგანი, ქუთაისელი პიონერი თემურ უკლება, IV საკავშირო შეკრების დელეგატი,

## პიონერული ცნოვრების მატიანე

1984 წლის აპრილში თბილისში გაიხსნა თოჯინების თეატრი.

1985 წელს თბილისში პიონერთა და მოსწავლეთა, აქტიური მონაწილეობით აშენდა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.

1988 წელს 22 მარტს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა დელეგაციის წევრი, თბილისის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლე, პიონერი ეთერ გვანცელაძე კარგი სწავლისა და საზოგადოებრივი მუშაობისათვის დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.



ვ. ი. ლენინის დაბადების ასიწლისთავის საიუბილეო მედლით დააჯილდოვეს.

საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის წევრებმა (ბრიგადირი — მაცვალა როგავა). ისინი სახელგანთქმული მეჩაიეს — თამარ ყუფუნის ხელმძღ-

ვანელობით მუშაობდნენ და ჩაიკრეფის საიდუმლოებას ეუფლებოდნენ. ბრიგადა კომკავშირის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა მარშან ტრაქტორ „ბელორუსით“ დააჯილდოვა.

საყურადღებო იყო თბილისელი პიონერების მიერ წამოყენებული ლოზუნგი: „სკოლა შენი სახლი“.

პიონერები კისრულობდნენ ვალდებულებას, ისე მოეარათ სკოლის შენობისა და ინვენტარისათვის, რომ 5 წლის მანძილზე საჭირო არ გამხდარიყო მისი შეკეთება. ამ თაოსნობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის 130-ე და 66-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

„დიდების წიგნში“ შევიდოდა მეჩაიე ნათელა ჩელებაძეც, რომელმაც 14 წლისამ მიიღო სოციალისტური შრომის გმირობა.

ვინ მოთვლის, რამდენმა პიონერმა გაიმარჯვა საკავშირო კონკურსებში, დაიმსახურა დიპლომები და ჯილდოები.

საკავშირო ლიტერატურულ კონკურსში — „რევოლუციას აქვს დასაწყისი, რევოლუციას არა აქვს დასასრული“ გამარჯვებს ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე მარიკა ვანგამ და თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნელი უჩახიიშვილმა. ახლახანს მოწყობილ საკავშირო გამოფენაზე — „ნორჩთა შემოქმედება“ — ბევრი პიონერი და მოსწავლე დაჯილდოვდა დიპლომით. მათ შორის არიან ეხიჭვრელი დალი ცხოვრებაშვილი, თბილისელები — ვახტანგ ბზიკაძე და გია ამბროლაძე, ხესტაფონელი სერგო შველიძე, მცხეთელი ტენიზა მანუარაძე, კასპელი ვახტანგ ილურიძე, ახალქალაქელი საშა ზედგენიძე.

ამ გამოფენაზე 160 დიპლომი ჩვენმა ნორჩმა ტექნიკოსებმა მიიღეს.

როცა ეს პიონერები გაიზრდებიან და სათქმელიანად დაეუფლებიან არჩეულ პროფესიას, ბევრი მათგანი ალბათ იტყვის თავის სიტყვას მეცნიერებაში, ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში. მათთვის, ბავშვებისათვის, ყველა გზა ხსნილია.

„პიონერთა დიდების წიგნი“ კი მალე შეიქმნება და ახალ-ახალ საგმირო საქმეებს, ხვალინდელი დღის გმირებს დაელოდება.





ჩემი ცხოვრების დიკსაცნობარ დღეებს ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაც შეემატება — პიონერული ორგანიზაციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

ბავშვობის ყველაზე სასიხარულო დღე რევოლუციის დროშის ფერით, პიონერული ყელსახვევის ფერით დამახსოვდა. ეს პიონერთა რიგებში შესვლის დღე იყო. იმ მაისის მოღვაწე ფერი, იმ დილით რომ გადაჭკრავდა ჩვენი ზღვისპირა ქალაქის — ფოთის ცას, ახლაც თვალწინ მიდგას.

ახლა ვფიქრობ, ალბათ სიხარული თუ მიეღვარებდა იმ დღეს! პიონერულ ორგანიზაციაში მუშაობამ ბევრი სიხარული მარგუნა. ის გახდა ჩემი შემდგომი მუშაობის სკოლა და საძირკველი.

და თუ ვინმე შემეკითხებოდა, საიდან მოვდივარ მე, ალბათ ისე ვუპასუხებდი, როგორც ერთმა ფრანგმა მწერალმა უპასუხა: „ჩემი ბავშვობიდან“, მაგრამ იქვე დავსძენდი: „ქვეუნიდან, რომელსაც „პიონერია“ ჰქვია“.

სასიამოვნო მოგონებებს აღმიძრავს ის წლებიც, როცა, როგორც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მოსწავდე ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობას ვხელმძღვანელობდი.

ბევრ სერიოზულ საქმეს აკეთებდნენ მაშინ პიონერები და ეს თქვენ კარგად იცით. ეს ომისა და ომისშემდგომი წლები გახლდათ. მტერს რისხვად ეცემოდა სატანკო კოლონა „საქართველოს წორჩი პიონერი“, რომელიც ქართველი ბავშვების მიერ შეგროვებული სახსრებით აიგო. მაგრამ დღეს ზეიმი გაქვთ და მეც არ მინდა ეს ზეიმი საქმეებზე საუბრით დაგიმძიმოთ.

მაშ რა ვუსურვო ჩემს პიონერიას მისი დავაუკაცების ამ ლამაზ დღეს! დაე თქვენი ლამაზი ცის კაზადონზე მუდამ იყოს ბრდღვიალა მზე!

დაე მუდამ იყოს ის სიხარული, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გახლავთ!

დაე მუდამ იყავით წითელი ყელსახვევით, რევოლუციის დროშის ფერით მკერდდამშვენებულნი!



ნინო გვანია  
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, პიონერთა საქალაქო საბჭოს საპატიო თავმჯდომარე.



ძვირფასო ბავშვებო, თქვენი დიდი დღესასწაულის გამო მთელი სულით და გულით მინდა გისურვოთ წარმატება სწავლაში, დიდი, დიდი სიხარული და ბედნიერება ცხოვრებაში.

მეც პიონერი ვიყავი და თვითონ გამოვცადე პიონერული ორგანიზაციის კეთილისმყოფელი ძალა. ჩემმა თაობამ პირველად იქ შეითვისა დისციპლინა, ორგანიზებულობა და, რაც მთავარია, პირველად იქ გაგვიღვივდა პატრიოტიზმის გრძნობა, სამშობლოს სიყვარული.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდი დღესასწაული სწავლისა და შრომის კიდევ უფრო დიდ სტიმულს მოგცემთ.

გაივლის სულ რაღაც 10-15 წელი და თქვენ იქნებით თქვენი მამებისა და პაპების აშენებული ქვეყნის ბატონ-პატრონნი, თქვენ უნდა მართოთ და კლადავც აშენოთ თქვენი სამშობლო.

დაე, ღირსეულად გეტარებინოთ წინა თაობების გადმოცემული ესტაფეტა. გაუვარდეთ სამშობლო, იყავით ღირსეული მოქალაქენი, ჯაუღულეთ ხელოვნებას, მეცნიერებას, იყავით შრომისმოყვარენი, ძლიერნი და გულმართალნი.



ზურაბ ანჯაფარიძე  
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.



# მს იყომ ნიხეთ, მს იყომ ხეხენ...

**პაპლე ასლანიძე,**  
მეტერანი პიონერი, გაზეთ  
„ვეჩერნი თბილისის“ რედაქტორი.

მთხოვეს დამეწერა მოგონებები ჩემი ცხოვრების იმ მონაკვეთზე, პიონერთა ორგანიზაციასთან რომ მაკავშირებდა.

ავიდე კალამი, წინ დავიდე ქალაქის დასტა და ჩავფიქრდი.

ის, რაზეც უნდა დამეწერა, შორეული ხნის ამბებია, იმდროინდელი ბევრი რამ უკვე წაიშალა ჩემს მხსიერებაში და, მაინც, კაცმა რომ თქვას, თითქოს არც თუ შორეულია ის დრო.

აგერ, პიონერთა ორგანიზაცია ორმოცდაათი წლისა გახდა. ხუმრობა როდია ორმოცდაათი წელი — საკმა-

ოდ გრძელი და ეკლიანი გზა. ამ ორგანიზაციაში პირველი შემსვლელი ახლა მან წლისანი მაინც არიან. ეს ადამიანები მუდამ სიამოვნებით მოიგონებენ ბავშვობას, მაშინდელ პიონერიას, რომელმაც ისინი შეგნებულნი, მიზანსწრაფულნი გახადა და საგმირო საქმეებისათვის გამოაწრო.

აი, მეც გუშინდელ დღესავით მახსოვს 1933 წლის 24 ივნისი, როცა თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დედაქალაქის ყველა პიონერმა მოიყარა თავი.

მაინც რა მოხდა იმ დღეს? იმ დღეს აქ ამუშავდა ჩვენს ქვეყანაში პირველი საბავშვო რკინიგზა, რომლის გახსნაზეც მოვიდნენ ნორჩი მშენებლები. პარკის მოედანი და ხეივანები ვეღარ იტევდა წითელყელსახვევიან ყმაწვილებს.

დილის 10 საათზე, პიონერული მარშისა და ვაშის ძაბილში, პატარა ორთქლმავალმა პირველად აახშიანა საყვირი, რითაც ყველას აუწყა, რომ გადიოდა პირველ რეისზე სადგურ „პიონერულიდან“ სადგურ „სიხარულამდე“. ყველას უნდოდა თავისი რკინიგზის პირას გამოჩენილიყო. დიან, თავისი რკინიგზისა, რადგან ჩვენი ქალაქის ყოველი პიონერი და მოსწავლე მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობდა ამ რკინიგზის მშენებლობაში: დააგეს შაალები, აშენებდნენ სადგურებს და ვაგონებს. რაც შეეხება ორთქლმავალს, იგი რკინიგზის სახელოსნო სასწავლებელში გადააკეთეს ძველი „კუკუშკისაგან“.

ვწერ ამ სტრიქონებს და თვალწინ მიღვას, რაოდენი ენთუზიაზმით მუ-

შაობდნენ მთელი თბილისის პიონერები ამ რკინიგზაზე დარსა თუ ავდარში, სუსხსა თუ თაკარა სიცხეში. თან მუშაობდნენ, თან მღეროდნენ — სიმღერა ხომ კაცს შრომას უმსუბუქებს. ორი საათი შეუშინებლად გადიოდა შრომაში, მერე მადიანად ისაუზმებდნენ და სკოლისაკენ გაეშურებოდნენ. ვინც გაკვეთილებზე უკვე იყო, ისინი შინ მიდიოდნენ. სამუშაო კი თავსაყრელად იყო. მარტო რკინიგზის აშენება როდი კმაროდა, მისი ექსპლუატაციაც უნდა სცოდნოდათ. ამიტომ, ბავშვებს რკინიგზელის პროფესიას ამიერკავკასიის რკინიგზის სპეციალისტები ასწავლიდნენ.

პიონერები სწავლობდნენ (ცხადია ჩვენი რკინიგზის ფარგლებში) სადგურის უფროსისა, და მორიგის მუშაუნებისა და კონდუქტორის, მეისრისა და გამცილებლის საქმეს.

ყოველი ნორჩი რკინიგზელი ფორმაში იყო გამოწყობილი, ყველას წითელი ყელსახვევი ეკეთა.

რკინიგზის გახსნის წინა დღეს მშენებელ ბრიგადათა წარმომადგენლების საერთო კრება მოიწვიეს. წყდებოდა შემდეგი საკითხი: რაი უკვე გვაქვს რკინიგზა, საჭიროა გზის უფროსიც გვყავდეს, მაგრამ, ვინ უნდა იყოს იგი?

გამოგიტყდებით, გამივიკრდა და, რასაკვირველია, გამიხარდა, როცა მე დამასახელეს. კენჭი მიყარეს. ერთხმად გავდი. მაგრამ მე ხომ იმასვე ვაკეთებდი, რასაც ჩემი ტოლები აკეთებდნენ. მხოლოდ ეს იყო: მე წამოვყავენ რკინიგზის აშენების იდეა. ვცდილობდი დაწყებულიყო მისი მშენებლობა. იმ დროს მე-4 კლასის მოსწავლე ვიყავი.

...გავიდა წლები. იმ დღეს, როცა კომკავშირის რაიკომში კომკავშირული ბილეთი მომცეს, ჩემი პიონერული ყელსახვევი როდი დამიწიქებია. ჩავდე იგი თვითნაკეთ კონვერტში და შევირნახე. მახსოვდა, პიონერთა ორგანიზაციაში მიღებისას რაც მითხრეს: ეს შენი ყელსახვევი იმიტომ არის წითელი, რომ შენი ბედნიერებისათვის, მშრომელთა შვილების ბედნიერებისათვის თავდადებულ ადამიანთა სისხლით არის შეღებილიო;

და აი, როცა ჩემ შვილს ირაკლის პიონერული ფიცი უნდა დაედო, უკვე გაყვითლებული კონვერტი გაგხსენი, იქიდან წითელი ყელსახვევი

ამოვიღე და გადავეცი. — ხამი ტი-  
ლოს გახუნებული ყელსახვევი, ჩემი  
ბავშვობის წლების მოსაგონარი, ყვე-  
ლაზე ძვირფასი სახსოვარი.

მაგონდება იმ დროის რამდენიმე  
ეპიზოდი; როცა ბავშვებთან მიხდე-  
ბოდა მუშაობა.

1941 წლის იანვარი იყო. 25-მა პი-  
ონერებმძღვანელმა და უფროსი  
კლასების მოსწავლემ გადაწყვიტა  
მატარებლით ჩასულიყო ხაშურში,  
იქიდან კი — თბილამურებით ბაკუ-  
რიანში ასულიყო და უკანვე, ხაშურ-  
ში დაბრუნებულიყო. ეს მხიარული  
გასიერება როდი გახლდათ. სრუ-  
ლიადაც არა ისინი სრული „საბრ-  
ძოლო“ აღჭურვილობით. 10 დღის  
სამუოფი საგზაოთ სავსე ზურგჩან-  
თებით, საძილე ტომრებიანად, მარ-  
ხილებიანად უნდა ასულიყვნენ კოხ-  
ტაგორაზე. გზად ბევრი სოფელი გა-  
იარეს, ბევრი სკოლის მოსწავლეებს  
გაეცვენენ. რომელთაც უამბეს. თუ  
როგორ ჩააბარეს ნორმები ნიშანზე:  
„შად ვარ შრომისა და თავდაცვი-  
სათვის“.

მოლაშქრეებს მეც გავყევი, რო-  
გორც გავით „პიონერსკაია პრავ-  
დის“ კორესპონდენტი საქართველოს  
სსრ-ში. აბა რას ვიფიქრებდი მაშინ,  
რომ მალე ეს ბიჭები მოსწავლის  
ფორმას სამხედრო ფორმით შეიც-  
ვლიდნენ და ნამდვილ საბრძოლო  
ლაშქრობაში წავიდოდნენ წყეული  
მტრისგან — გერმანული ფაშიზმი-

საგან სამშობლოს დასაცავად.

1941 წლის თებერვალში საბჭო-  
თა საქართველო თავის სახელოვან  
მე-20 წლისთავს აღნიშნავდა. ჩემი  
გაზეთის რედაქციამ სადღესასწაულო  
ნომრის მომზადება დამავალა. ნომ-  
რის მაკეტზე რომ ვმუშაობდი, აზ-  
რად მომივიდა, ეს ნომერი ჩვენი  
რესპუბლიკის პიონერთა ძალებით  
მომემზადებინა. მაგრამ მხოლოდ წე-  
ირლებით, ჩანახატებითა და ლექსე-  
ბით კი არა, არამედ ჩვენი ნორჩი  
მხატვრის მიერ მხატვრულადაც გა-  
ფორმებულიყო. ბევრი სკოლა მო-  
ვიარე, ბევრი პიონერული კედლის  
გაზეთი დავათვალიერე, რომ მეპოვ-  
ნა ასეთი მხატვარი. და ვიპოვე კი-  
დეც. იგი მეხუთეკლასელი, თბილი-  
სელი პიონერი გოგი თოთიბაძე იყო.  
„პიონერსკაია პრავდის“ სადღესას-  
წაულო ნომერი მთლიანად მან გა-  
აფორმა.

დღეს გოგი თოთიბაძე ჩვენი რეს-  
პუბლიკის დამსახურებული მხატვა-  
რია, თბილისის სამხატვრო აკადე-  
მიის პროფესორია. ყოველივე ამას  
კი მან დიდი გულმოდგინე შრომით,  
სწავლით და კიდევ სწავლით მიაღ-  
წია.

როგორც ყველა საბჭოთა ადამი-  
ანისთვის, ჩემთვისაც დაუვიწყარია  
ომის წლები.

ომმა პირველი დღეებიდანვე გახა-  
და პიონერები მამაცნი, მედგარნი,  
გმირები. დიახ, სწორედ გმირები!

ომის მრისხანე წლებში ყველაფერს  
აკეთებდნენ ისინი, რაც კი შეეძლოთ,  
პოსტილებში მუშაობდნენ, მებრ-  
ძოლებს საჩუქრებს უგზავნიდნენ,  
სამკურნალო მცენარეებსა და ბალა-  
ნებს, ასკილსა და სხვა სასარგებლო  
ხილ-კენკრეულს აგროვებდნენ. ამ  
სამუშაოს ორგანიზებისათვის საქარ-  
თველოს კომკავშირის ცენტრალურ  
კომიტეტთან ჩამოყალიბდა რესპუბ-  
ლიკური შტაბი, რომელსაც ცენტრ-  
რალური კომიტეტის მდივანი ნინო  
უვანია ხელმძღვანელობდა. თითო-  
ეულმა პიონერულმა ორგანიზაციამ  
იცოდა, რამდენი კილოგრამი სამ-  
კურნალო მცენარე უნდა შეეგროვე-  
ბინა და აფთიაქში ჩაებარებინა.

ყოველივე ეს ჩემთვის კარგად  
ცნობილია იმიტომაც, რომ ომის  
წლებში კომკავშირის ცენტრალურ  
კომიტეტში ვმუშაობდი და ამ საქ-  
მეში უშუალოდ ვმონაწილეობდი —  
რესპუბლიკური კომისიის მდივანი  
ვიყავი. ამ საქმემ ისე გამიტაცა, რომ  
ჩემი თანამოსამსახურე მეგობრები  
ხუმრობით „რესპუბლიკის მთავარ  
მეასკილეს“ მეძახდნენ.

ბევრი, ძალიან ბევრი რამის გახ-  
სენება შეიძლება და კიდევ უნდა გა-  
ვიხსენოთ იმ ძნელ დღეებში ქართ-  
ველი პიონერების საქმიანობიდან.

სწორედ ახლა აქვს ამას განსაკუთ-  
რებული მნიშვნელობა, რომ შეიქ-  
მნას ნორჩ ლენინელთა ორგანიზაცი-  
ის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია.

11841



ზესტაფონის რაიონის,  
სოფ. შრომას ნორჩმა პი-  
ონერებმა შორს გა-  
უთქვეს სახალი თაზი-  
ანთ სკოლას. ისინი ბავ-  
შვთა სახვითი ხელოვ-  
ნების გამოყენებით მო-  
ვალგზის მონაწილენი  
არიან. მათმა ნახელავ-  
მა ღვინის „პურჯელ-  
მა“ ამერიკის შეიქმ-  
ნულ შტაბებში მოწყო-  
ბილ გამოყენებამ პირვე-  
ლი ხარისხის დიპლომი  
დაიხსახურა.



ფოტო  
ა. მანუშვილისა.



# დავით აღმაშენებლის დასახელებული საბავშვო სკოლა

## ნათალა ზაილოძე

### აბტიანე იუწყება

1929 წელს, ისე როგორც 1922-ს, ყველა პიონერი იხსომებს. 1922 წელი პირველი პიონერული რაზმის შექმნის თარიღია, ხოლო 1929 — პიონერთა პირველი თავშეყრისა...

„1929 წელი, აგვისტო, 7 თასი პიონერი შეიკრიბა მოსკოვში პირველ საკავშირო ყრილობაზე. პიონერებს მიესალმნენ ნ. კ. კრუპსკაია, მ. ი. კალინინი, ე. იაროსლავსკი; ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ამ შეკრებაზე წაიკითხა ცნობილი ლექსი „სიმღერა — ელვა“.

შეკრების დელეგატები მიიღეს მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარებმა. საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელებმა.

კრემლის დიდ სასახლეში ყრილობის დელეგატები განიხილავდნენ პიონერული ორგანიზაციის მიზნებსა და მუშაობის მეთოდებს.

შემუშავდა საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა შეკრების განაწესი. მაშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილებაჲ კი მიიღო „პიონერული შეკრების შედეგების შესახებ“.

...ასე იუწყება პიონერთა ორგანიზაციის მატთან.

1929 წელი განსაკუთრებულია სოფიო კეკელიშვილისათვის: აგი ამ შეკრების დელეგატი გახლდათ. მას ხშირად შეხვედებით სკოლებში, პიონერთა სახლებში, შეკრებებზე. შეხვედრებზე — თბილისში, ქიასურაში, ტყიბულში, ახალციხეში... ხვდება 70-იანი წლების პიონერებს და იგონებს...

### პირველი დიდი სიხარული

ბუნდოვნად ახსოვს მშობლიური სოფლის — ნავარძეთის მთავარე-

ბი, ტურფა მინდორ-ველი, დაკლაკნილი ორღობეები, კოპწია ბაღხაბაღები, ჭიათურის ციკაბო, გორიზი კლდეები. შავად მოთუხთუხე მდინარე ყვირილა. რომელსაც სოფიო სულ პატარა მოაცილეს და თბილისისაკენ წამოიყვანეს.

უდუდამაო გოგონა ვაკის საბავშვო სახლში იზრდებოდა; არ აკლდა ზრუნვა და ყურადღება.



ნ. კივიძე (1929 წ.)

სოფიოს გუშინდელივით ახსოვს საბავშვო სახლსა და სკოლაში გატარებული დღეები. პირველი აღმზრდელეები — არკადი ხუნდაძე, ნინო ნინოშვილი, თამარ გერსამია, სოფიო ფხალაძე და სხვები; ახსოვს პიონერთა ორგანიზაციის რიგებში მიღება, შემდეგ ბეჭითი სწავლა, პიონერული რომანტიკით გატაცება, სპორტული შეჯიბრებები, კომკავშირული წრთობა... პირველი წარმატებები.

1929 წელს კი სოფიო პიონერთა საკავშირო შეკრების დელეგატად აირჩიეს. ეს იყო დიდი სიხარული. დიდი მოლოდინი მოსკოვის ნახვისა...

### შეპირიზნენ, როცა...

საბჭოების ქვეყნის პიონერები იმ დროს შეიკრიბნენ, როცა მთელი ქვეყანა შენების ენთუზიაზმით იყო აღ-

სავსე. იმ წლის 6 აგვისტოს მთელი ქვეყნის მშრომელებმა თავიანთი შრომა უსასყიდლოდ დაუთმეს სამშობლოს. ქალაქებში 6 აგვისტო ინდუსტრიალიზაციის დღედ გამოცხადდა. მუშების მაგალითით, სოფლის მშრომელებმა „ქვეყნის კოლექტივიზაცია გამოაცხადეს“. სოფელი ქალაქს იწვევდა შეჯიბრებაში.

ამ პერიოდში მშობლიური კომუნისტური პარტია პიონერებს ურჩევდა, რომ შეექმნათ შრომის ისეთი კოლექტივი, რომელიც თავის წვლილს შეიტანდა დიდი მშენებლობის საქმეში, აფრთხილებდა, რომ კლასობრივ მტერს არ ეძინა; მოაგონებდა, თუ რა გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა სოფლად კულაების წინააღმდეგ.

### მოსკოვისაკენ... მოსკოვში

1929 წლის გაზაფხულზე, საქართველოში უკვე ყველა ბავშვმა იცოდა, რომ პიონერთა პირველი საკავშირო შეკრება აგვისტოში უნდა შემდგარიყო.

ბეჭითი სწავლითა და შრომით მოიპოვა სოფიომ დელეგატობის უფლება; სწავლასთან ერთად, კარგი შედეგები ჰქონდა მძლეოსნობაშიც.

1929 წლის 4-6 აგვისტოს, საზეიმოდ მორთულ თბილისში ამიერკავკასიის პიონერთა პირველი შეკრება ჩატარდა ამ შეკრებამ აირჩია სრულიად საკავშირო შეკრების დელეგატები: საქართველოდან 145, აზერბაიჯანიდან 145 და სომხეთიდან 100 პიონერი. სოფიო იმ დროს თბილისის მე-14 შრომის სკოლის (დღევანდელი 39-ე საშუალო სკოლის) მეთქვე კლასის მოსწავლე იყო.

11 აგვისტოს, 11 ვაგონისაგან შემდგარი საგანგებო მატარებლით გავიდნენ შეკრების დელეგატები თბილისიდან. მატარებელს ამშვენებდა პიონერული ლოზუნგები და პლაკატები...

...ხუთი დღე და დამე მიჰქროდა მატარებელი მოსკოვისაკენ. ვაგონებში წკრიალებდა სიმღერა. არ ცხრებოდა მუშაობა. დელეგატები უშვებდნენ კედლის გაზეთებს. აწ-

ყოფილნი შეკრებებს. გზადაგზა თითქმის ყველა სადგურში ხვდებოდნენ მათ მუსიკით და ყვავილების თაიგულებით პიონერთა რაზმები.

დელეგატები მოსკოვში გვიან დამით ჩავიდნენ. მასპინძლები ანთებული ჩირაღდნებითა და ყვავილებით დახვდნენ სადგურზე. სასტუმროში არ გაუშვეს, — ყოველ დამხვდურს სურდა შინ წაეყვანა შეკრების მონაწილე.

საქართველოს დელეგაცია ბაუმანის რაიონის მშრომელთა ოჯახებში გაანაწილეს. სოფიო და მისი ქუთაისელი მეგობარი ვალია უგრეხელიძე მუშა იასტრატოვის ოჯახში მოხვდნენ. მათ დღესაც ახსოვთ მოსკოველი მუშის სტუმართმოყვარეობა.

მეორე დღეს დელეგატებს შეკრების მონაწილის მანდატი და სამკერდე ნიშანი გადასცეს.

18 აგვისტოს შეკრების გახსნის დღეს, მოსკოვი არსებული სანახაობის დამსწრე გახდა.

7000 ბავშვი ჩავიდა საბჭოების ქვეყნის დედაქალაქში. შეკრებაში 20000 მოსკოველი აქტივისტი მონაწილეობდა. მოსკოვის ქუჩებში ისმოდა სიმღერები სხვადასხვა ენაზე. პიონერთა საკავშირო შეკრებამ იმ წლებში ერთხელ კიდევ დაადასტურა პროლეტარული ბავშვების ორგანიზებულობა, სიმჭიდროვე და დისციპლინა. ეს იყო საბჭოთა ქვეყნის პიონერთა პოლიტიკური აქტიურობის დათვალეობა. პიონერთა პირველი შეკრება ჩვენი ქვეყნის არამართო ბავშვების, არამედ უფროსი ასაკის ადამიანების ცხოვრებაშიც დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო. ისინიც მას თავიანთი სიხარულის, ზეიმის დღედ თვლიდნენ.

შეკრებას საბჭოთა კავშირის პიონერების გარდა საზღვარგარეთის

64 ქვეყნიდან ჩამოსული ბავშვებიც ესწრებოდნენ. იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვ.

18 აგვისტოს პიონერებით სავსე მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა შეკრება.

სტადიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ შესასვლელიდან 600 მეტრულემ და მისაყვრიემ შემოაბიჯა, მათ მედროშეები მოჰყვებოდნენ. ანძაზე ალაში აღიმართა შეკრების დელეგატებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მოგვესალმნენ. პიონერებს სიტყვით მოგვმართა და ლექსი „სიმღერა — ელვა“ წაგვიკითხა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, — გვიამბობს სოფიო. — დღესაც თვალწინ მიდგას ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის გიგანტური ფიგურა: ახლაც თითქოს ყურში ჩამესმის მისი მგზნებარე სიტყვა. ვაჟაკურად, მაიაკოვსკისებური შემართებით წაკითხული ლექსი, რომელიც მან შეკრების მონაწილეებს უძღვნა.


„ზღვას გადასწვდება  
ლურჯ ტალღას,  
ხმა ქედებს  
გადაჟვლებს. —  
უმღერე, ელვა — სიმღერავ,  
პიონერების შეკრებას..“

— იგი პოეტმა ვასილ ლაფერაშვილმა თარგმნა. — ამბობს ვეტერანი პიონერი და სათუთად ინახავს გაცურეცილ ბარათს. ის ამ ლექსის ქართული თარგმანია, ხელნაწერი, საყურადღებო მინაწერით: „1929 წლის 18 აგვისტოს დავესწარი ვლადიმერ მაიაკოვსკის გამოსვლას პიონერთა საკავშირო შეკრებაზე „დინამოს“ სტადიონზე მოსკოვში. მაშინ მე მოსკოვის ერთ-ერთი პიონერთა ბაზის

ხელმძღვანელი ვიყავი. მაიაკოვსკიმ ტრიბუნიდან წაიკითხა „სიმღერა — ელვა“. ათასობით პიონერმა და დამსწრეებმა მხურვალე ტაშის გრილით დააჩილოდეს რევოლუციის მგზნებარე პოეტი. მათ შორის ვყოფილვართ მე და თქვენ, სოფიო კეკელიშვილო! ამიტომ მოწიწებით გადმოგცემთ მაიაკოვსკის „სიმღერა — ელვის“ ჩემს თარგმანს“.

20 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა პიონერთა პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომლის მუშაობაში საქართველოდან რამდენიმე პიონერი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის — სოფიოც. კონფერენციაზე საბჭოთა კავშირში პიონერული მოძრაობის მდგომარეობასა და ამოცანების შესახებ იყო საუბარი. სოფიომ იქ დამსწრეთ გაუზიარა მშობლიური სკოლის პიონერული რაზმებისა და რგოლების მუშაობის გამოცდილება.

22 აგვისტოს ბავშვთა საერთაშორისო კონგრესშიც მონაწილეობდა, სადაც სიტყვით გამოვიდა ნ. კ. კრუპსკაია. მან ბავშვებს მოუწოდა პირნათლად შეესრულებინათ ძია ლენინის ანდერძი — ბეჭითად ესწავლათ, ღრმად დაუფლებოდნენ ცოდნას; ესაუბრა წიგნის სიყვარულზე და ერთმანეთისადმი მეგობრულ დამოკიდებულებაზე. მოაგონა, რომ პიონერთა ორგანიზაცია ბავშვთა პოლიტიკური ორგანიზაციაა, ნორჩი კო-



პიონერთა პირველი საკავშირო  
შეკრების სამკერდე ნიშანი (1929 წ.).  
ს. კეკელიშვილის მანდატი.

მუნისტი კი უფროსებს აქტიურად უნდა დაეხმაროს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.  
24 აგვისტოს შეკრების მონაწილეებმა ინტერესით დაათვალეირეს წითელარმიელთა ბანაკები, გაეცვენნენ მებრძოლთა და მეთაურთა ცხოვ-



**ВСЕСОЮЗНЫЙ СЪЕЗД  
ЮНЫХ ПИОНЕРОВ**

**18-25  
АВГУСТА**      **№3683**      **1929**

**ДЕЛЕГАТУ СЛЕТА**

**ОТ** *Ке...* **ОРГАНИЗАЦИИ**  
**ПИОНЕРОВ**

**МОСКВА**      **НАЧАЛЬНИК ШТАБА** *...*  
**ПРЕДС МАНАЛТИ...**

მზია ჩხეიძის



ქართული  
გზა

ის დაცხრილული  
დროშები,  
ის შერუჯული თმა,  
ქარში, ტყვიების წვიმაში  
მიწყდარი ბიჭის ხმა...  
ის სისხლიანი პერანგი,  
ის სისხლიანი გზა,  
ტირიფთან მომცრო სამარე,  
იქვე დაფნა და ბზა.  
ბრძოლის და შრომის  
ფრონტები,  
შუბლგადახსნილი ცა,  
ახალ-ახალი მწვერვალი,  
ახალ-ახალი ცვლა!  
პიონერებო, მხარი-მხარს,  
პიონერებო, მზად! —  
მზისკენ გვეძახის,  
გვამსწვევს  
მათი გამირული გზა.

ტიური მონაწილეობა უნდა მიეღო თავისი რაზმის ყოველდღიურ საქმიანობაში;  
პიონერს ყველგან და ყოველთვის, დიდ თუ პატარა სამუშაოზე, უნდა ხსომებოდა ნორჩ პიონერთა კანონები.  
თუ როგორ ასრულებდა საბჭოეთის პიონერია ამ ხუთივე ამოცანას, კარგად არის მოთხრობილი საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტიდან მიღებულ იმ განაწესში, რომელიც სოფიო კველიშვილს ახლაც შენახული აქვს.  
პირველი საკავშირო შეკრების დღეგატი იგონებს მაშინდელ დღე-ღებებს: „კულტურისათვის, ცოდნისათვის“, „წიგნი — პიონერის საუკეთესო მეგობარია“, „ბრძოლისათვის მზად იყავ!“ „საბჭოების ქვე-

რებას. იმ დღეებში მოეწყო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ბავშვები ყოველ დღით, საყვიროს ხმაზე, კრემლის პარკში იკრებოდნენ, აქ საუზმობდნენ და შემდეგ მიემგზავრებოდნენ ადგილზე. თავისუფალ დროს დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს ეცნობოდნენ. ინახულეს მოსკოვის პლანეტარიუმი, ზოოლოგიური პარკი, ელნათურების დამამზადებელი ქარხანა და სხვ.

ჩვენ ყველაზე მეტად ლენინის მავზოლეუმში გვაინტერესებდა, მაგრამ იმ პერიოდში მას ხის ნაცვლად გრანიტს უკეთებდნენ და ამიტომ დაკეტილი იყო, — სინანულით იგონებს სოფიო.

...ქუთაისელმა ნორჩმა კალათბურთელებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. ისინი ზედისხედ ამარცხებდნენ ძლიერ მოწინააღმდეგეებს. ფინალშიც გავიდნენ.

უკანასკნელად ლენინგრადის ნორჩ კალათბურთელებს შეეჯიბრნენ. მათთან კი დამარცხდნენ. ქუთაისელები მაშინ სსრ კავშირის მასშტაბით მეორე ადგილზე გამოვიდნენ. ესეც

დიდი მიღწევა იყო ქართველი ნორჩი სპორტსმენებისათვის.

25 აგვისტოს შეკრების დღეგატები მოსკოვის ფაბრიკებსა და ქარხნებში იყვნენ მუშებთან შეხვედრებზე. ქართველ პიონერებს გულთბილად შეხვდნენ შოკოლადის ქარხანასთან არსებული ნორჩ პიონერთა კოლექტივის წევრები. მათ საგანგებოდ შეკერილ ტილოს პარკებში ჩაწყობილი ტკბილეულით დასაჩუქრეს დღეგატები. ეს უბრალო, მაგრამ მეტად ძვირფასი მოგონებების აღმძვრელი პარკი ახლაც შენახული აქვს სოფიოს.

შეკრების შედეგად...

შეკრებიდან 5 თვე გავიდა და სოფიომ მოსკოვიდან ბარათი მიიღო. საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის ნორჩ პიონერთა კომუნისტური ორგანიზაციის ბიურო საკავშირო შეკრების ყოფილ დღეგატს ეკითხებოდა: „რას აკეთებთ შენი და შენი ამხანაგები შეკრების შემდეგ? კ. კრუჰსკაიას სიტყვის საპასუხოდ? რა არის ახალი თქვენს მუშაობაში?“

სოფიოს და მის თანარაზმელებს კი სათქმელი და მისაწერი ბევრი ჰქონდათ. პასუხიც არ დაუყოვნებლივ. მისწერეს. ღრმად ვეუფლებით ცოდნას, ვაწყობთ შაბათობებს პირველი ხუთწლიდის პირმშოს — ზაპესის მშენებლობის ტერიტორიაზე, ვიბრძვით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ვამწვანებთ მეზობელი ფაბრიკა-ქარხნებისა და სკოლების ეზო-გარემოს, ქუჩებსა და სანაპიროებსო...

შეკრების შემდეგ 5 ამოცანა იდგა პიონერთა წინაშე:

ყველა პიონერს უნდა მიეღო მონაწილეობა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის გაშლილ მუშაობაში. მათ ყოველდღიური დანმარება უნდა გაეწიათ პარტიისა და მთავრობისათვის სოციალისტურ მშენებლობაში.

პიონერთა ორგანიზაციის გავლენის ქვეშ უნდა მოქცეულიყო ყველა ბავშვი. უნდა გაზრდილიყო პიონერთა რიგები.

ბოლო უნდა მოღებოდა ბავშვთა დაქირავებულ შრომას, პიონერთა ორგანიზაციის მტკიცედ უნდა ებრძოლა ბავშვთა ინტერესების დაცვისათვის, რომლებიც დაქირავებულ შრომას ეწეოდნენ, უნდა შეევიწროებინათ კულაკები და ექსპლოატორები;

პიონერები თვითონ უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი ორგანიზაციის ბატონ-პატრონი. ყველა პიონერს აქ-

ქართული

პანო ჩხიკვაძე

„მზად ვართ“ —  
შუბლთან მიტანილი ხელი,  
ჩვენი რწმენა,  
მოფრიალე ყელთან —  
ზოიას და შოთას ყელსახვევი  
ზეიმი საშაისო ფერთა.  
„მზად ვართ“ —  
მტკიცე ნაბიჯებით იარ,  
„სწორდით“ —  
ყველა შეკავშირდით ფიცით.  
რასაც ჩვენი  
ძლიერება ჰქვია,  
განბანილა  
წინაპართა სისხლით.  
„მზად ვართ“ —  
შუბლთან მიტანილი ხელი,  
მთებს შეასკდა  
თქვენი ხმების ექო,  
ზოიას და შოთას ყელსახვევი  
დაე მუდამ ჩირაღდანად ენთოს.





### მუდამ მზად ვართ

განა მართო საქართველო,  
მისი მზის და მიწის ფეთქება, —  
გვიყვარს მთელი საბჭოეთი —  
ძმური კერა მრავალ ერთა.  
ან სიმდიდრის,  
ამ სიწმინდის  
ერთგულნი და მცველნი ჩვენც ვართ!  
ჩვენც მიყვებით სახელოვან  
მამა-პაპის დიად გზა-კვალს  
და სამშობლოს დაძახილზე  
მუდამ მზად ვართ,  
მუდამ მზად ვართ!



### ჩივნი, ჩივნი...

მტკიცედ მიყვებით ძნელ-ძნელ  
ბილიკებს  
ცოდნის სამყაროს გზებზე,

წიგნის ჩირაღდნით სავალს მივიკვლევთ,  
ვეძებთ, ვპოვებთ და ვეძებთ...  
ერთი მიღწევა დღეს რომ გვახარებს,  
ხვალ გვინდა ასჯერ მეტი,  
ვეცნობით ახალ-ახალ სამყაროს,  
ახალ მწვერვალებს ველტვით.  
სიძნელეს როდი შევეუშინდებით,  
მოგვდგამს გამირული სული...  
წიგნი...  
წიგნები, ისევ წიგნები  
და გამარჯვება სრული!



### ვასწავლი სამშრომელ წიგნზე

ჩვენს ვარსკვლავს კაშკაშა ფერი აქვს,  
ვართ მართლაც მიბაძვის ღირსნი,  
ჩვენს ირგვლივ ქვებიც კი მღერიან,  
ჩვენს ახლოს შუქს იძენს ნისლიც!  
გარჯა და სიკეთე გვამშვენებს,  
წინ, ვიცით, დიდი გზა გველის,  
მოვდივართ ხალისით სავსენი,  
ოქტომბრულთ ჩავკიდეთ ხელი.  
ისინიც მოგვდევნენ ხალისით,  
შეგვიწყვეს ნაბიჯი ჩქარი,

ვასწავლით შრომას და სიყვარულს  
წიგნის თუ მშობელი მხარის.  
ვასწავლით სიმღერებს ლენინზე,  
მიგვყავს და მივდივართ წინ-წინ,  
გულეებში გვინთია ცხელი მზე —  
ნათელი საბჭოთა მიწის.



### ბრწყინავს ჩვენი სუბილ პედალი

გვიყვარს სწავლა,  
გვიყვარს წიგნი,  
მაგრამ ვიცით შრომის ყადრიც!  
ყველგან გვიძღვის ნორჩებს წვლილი,  
ბრწყინავს ჩვენი საქმის მადლი.  
თუ ვფუსფუსებთ ხარაჩოსთან,  
თუ ვუდგევართ მხარში მთესველს,  
წუთითაც კი არ გვაქვს მოცლა,  
მუდამ ვფიქრობთ სიკეთეზე.  
დავტრიალებთ მთაში, ბარში,  
ვრგავთ, ვახარებთ  
ბაღს და ვენახს,  
კომუნისზმის შენებაში  
დე, გვიძღოდეს წვლილი ჩვენაც!

ყანაში სოციალიზმი შენდება“, „პი-  
ონერები — პარტიასა და კომკავ-  
შირთან ერთად“, „ჩვენ ახალ სამყა-  
როს ვაშენებთ“, თითოეულმა პი-  
ონერმა უნდა იცოდეს ხუთწლედ“,  
„მილიონობით ბავშვური ხელი და-  
ეხმარება ქვეყნის ინდუსტრიალიზა-  
ციას“, „მიწას ვაიძულებთ მოსავა-  
ლი გაადიდოს“, „არავის მიცემთ  
ამხანაგის ექსპლუატაციის უფლე-  
ბას“, „მუშათა ყველა ბავშვი — პი-  
ონერულ რაზმში“. ამ დევიზებით  
მოქმედებდნენ პიონერული რაზ-  
მები.  
...მას შემდეგ აგერ 43 წელი გავი-  
და, მაგრამ იმ გრანდიოზული ახალ-  
გაზრდობის დღესასწაულის მოსაგო-  
ნებლად სოფიო ახლაც სათუთად  
ინახავს შეკრების მონაწილის მან-  
დატს, სამკერდე ნიშანს, მიმოწე-

რებს შეკრების დელეგატებთან, აგ-  
რეთვე იმდროინდელ ბევრ სჩვა დო-  
კუმენტს... თითოეული მათგანი სი-  
ამაყის გრძნობას აღუძრავს, ეხმარე-  
ბა შეხვედრებსა თუ შეკრებებზე  
ნათელი წარმოდგენა მისცეს პიონე-  
რებს იმ წლებზე, როცა საბჭოთა  
კავშირის პიონერთა ორგანიზაციას  
მტკიცე საძირკველი ეყრებოდა.  
პიონერულ ორგანიზაციაში აღზრ-  
დილმა ქალიშვილმა ბეჭითი სწავლი-  
თა და შრომით გაიკვლია გზა ცხოვ-  
რებაში. სოფიომ წარმატებით და-  
ამთავრა საშუალო სკოლა და უმაღ-  
ლესი სასწავლებელი, გახდა კომუ-  
ნისტური პარტიის წევრი და პასუ-  
ხისმგებელი მუშაკი პოლიტიკური და  
მეცნიერული ცოდნის გამავრცელე-  
ბელი საზოგადოების საქართველოს  
რესპუბლიკურ გამგეობაში. აწ უკ-

ვე 50 წელს გადაცილებული. კულ-  
ტურის დამსახრებული მუშაკი. სა-  
ზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის  
რეფერენტად მუშაობს, ცოდნის  
გავრცელების კეთილშობილურ საქ-  
მეს ემსახურება.  
სოფიოს მუდამ ახსოვს პიონერუ-  
ლი წლები. ლამაზი ბავშვობის მო-  
საგონარი წლები, პირველი შეკრე-  
ბა, რომლის სახსოვრად შემორჩა  
შეკრების დელეგატის მანდატი  
№ 5683.  
იგონებს იმ წლებს და გული მად-  
ლიერების გრძნობით იცვება, რად-  
გან იცის, რომ იგი პიონერულმა ორ-  
განიზაციამ აღზარდა, არ აგრძნობი-  
ნა ობლობა, ჩაუნერგა სწავლისა და  
შრომის სიყვარული, ასწავლა სიძნე-  
ლეების დაძლევა და სამშობლოს დი-  
დი სიყვარულით აღანთო.

# არ დაიღწიო,

# სიხე!

პანო სპარსაძე

## იმ წყნარ ზაფხულს

1941 წლის ზაფხული იდგა. სკოლებში გამოცდები დამთავრდა. მატარებლებსა და ავტობუსებს დედაქალაქიდან ყოველდღიურად მიჰყავდათ პიონერები ბანაკებში, სოფლებში, აგარაკებზე. ჯერ სკოლებშიც არ შეწყვეტილიყო ბავშვების მხიარული ყიჟინა, თუმცა უკანასკნელი ზარი კარგა ხანია დარეკილი იყო. სამხედრო-სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული სასკილო გუნდები სარაიონო და საქალაქო ასპარეზობისათვის ემზადებოდნენ.

კასპის საშუალო სკოლის გუნდს პირველი ადგილის პრეტენზია ჰქონდა და, როგორც კი შეჯიბრება დაიწყო, დაწინაურდა კიდევ, მაგრამ ფინიშთან სხვა გუნდებმაც იმარჯვეს და პირველი ადგილისათვის ბრძოლა ძალზე გამწვავდა.

კასპელთა გულშემატკივრები დღეაღწეოდნენ, შეჯიბრებიდან შეჯიბრებაზე გარბოდნენ, ქულებს ითვლიდნენ, ანგარიშობდნენ. ზოგი უიმედობას მისცემოდა, უმრავლესობას კი სწამდა, რომ კასპის საშუალო სკოლა გაიმარჯვებდა. ყველას ნოდარის იმედი ჰქონდა.

ნოდარ ჩხარტიშვილმა წარმატებით დაამთავრა შვიდი კლასი და უკვე მერვე კლასის მოწაფედ ითვლებოდა. მამამისი, სამხედრო მოსამსახურე — მაიორი კონსტანტინე ჩხარტიშვილი კასპის სამხედრო კომისარი იყო. ნოდარი პატარაობიდანვე სამხედროების წრეში ტრიალებდა, ძალზე მოსწონდა ოფიცრობა. გადაწყვეტილი ჰქონდა სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სასწავლებელში განეგრძო სწავლა და ოფიცერი გამოსულიყო. მეცადინეობებს ესწრებოდა, სროლას სწავლობდა და კარგადაც დაეუფლა. სპორტითაც იყო გატაცებული, განსაკუთრებით სიგრძეზე ხტომა ემარჯვებოდა. ამიტომაც ჰქონდათ თანასკოლელებს მისი იმედი.

როცა ნოდარი სტარტზე დადგა, ყველა განიხაზა. თვითონაც ღელავდა, რად-

გან დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა გუნდის წინაშე და პატარა წაბორძიება საკმარისი იყო, რომ საქმე გაეფუჭებინა.

ნოდარი გამოეყენა, ისკუბა და შესანიშნავი ნახტომი გაჭიმა, მაგრამ დაცემისას მარცხენა ხელი უხერხულად მოიყოლა ქვეშ და საშინელი ტკივილი იგრძნო. არავის შეუმჩნევია ნოდარის შეწუხებული სახე. მარტო ერთმა შენიშნა და უმალ მისკენ გაიქცა. ის იყო ნოდარის თანაკლასელი კატო.

— რა მოვივინდა?

— არაფერი, ცოტა ხელი მეტკინა.

კატომ ხელი მოჰკიდა. ტკივილისაგან ნოდარს სახე დაემანჭა. კატომ იმწამსვე სამკუთხა თავსაფარი მოიძრო და მაგრად შეუხვია ნატკენი ხელი.

თანაკლასელმა ვაჟამ ხელშეხეული ნოდარი რომ დაინახა, გულზე შემოეყარა, მიიბრძინა მასთან და მუდარით წასჩურჩულა:

— ნოდარ, 44 ქულა გვჭირდება, 44 ქულა გვიშველის მხოლოდ, გესმის?

ნოდარს ესმოდა. კარგად ესმოდა, მაგრამ შესძლებდა კი?..

ნახტომი ბრწყინვალე იყო. ნოდარმა პირველი ადგილი დაიკავა. ახლა კი უნდა ესროლა. ნოდარი ნელი ნაბიჯით გაემართა სასროლად.

მცირეყალიბიანი შაშხანის სროლაში შეჯიბრებას ვაჟას მამა — სამხედრო კომისარიატის ერთ-ერთი ნაწილის უფროსი ალექსანდრე ყიფიანი ხელმძღვანელობდა. ალექსანდრემ ნოდარს თოფზე მიუთითა, აიღეო, და სამი ტყვია გაუწოდა საცდელი სროლისათვის.

— საცდელი არ მინდა, ისე ვისერი.

— ჩაილაპარაკა ნოდარმა.

— არა, ჯერ საცდელი გაისროლე, — უთხრა ალექსანდრემ მკაცრად.

ნოდარი გაკვირდა. ალბათ იმიტომ, რომ ხელი ძალზე სტკიოდა და უნდოდა საქმეს დროზე მორჩენილიყო.

ალექსანდრემ ნოდარის ხელის ტკივილის შესახებ არაფერი იცოდა, ნოდარის სიკვირებზე, ცოტა არ იყოს გააკვირვა და

გააბრაზა კიდევ. ორი ტყვი კიდევ უგდო, რაც გინდა ისა ჰქენიო, — უთხრა და გულმოსულმა ზურგი შეაქცია.

ნოდარმა მთელი ძალდონე მოიკრიბა. ტკივილი ძალზე აწუხებდა, მაგრამ იმეინდა. დაუმიზნა. გავარდა ერთი, მერე — მეორე, მესამე... უკანასკნელი ტყვიაც გაისროლა და გული შეუღონდა.

ძია ალექსანდრე შეშფოთდა, ვერ მიხვდარიყო, რა მოხდა.

ბიჭი სასწრაფოდ ამბულატორიაში წაიყვანეს.

ნოდარი გონს რომ მოვიდა და თვალის გაახილა, არ იცოდა, სად იყო. მერე ყველაფერი მოაგონდა და მაშინვე ის იკითხა, როგორ ვისროლეო. 47 ქულა მოაგროვეო, უთხრეს. ნოდარმა სიხარულით კინაღამ ტაში შემოჰკრა, მაგრამ ხელი ეტკინა და გაჩერდა.

„ყოველგვარი ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს“, — გაიფიქრა ნოდარმა და თავისსავე ნაფიქრალზე გაღიმა.

ხელი მოტეხილი აღმოაჩნდა. იქ მყოფნი შემფოთდნენ, ნოდარს კი არაფრად ჩაუგდია, თაბაშირი მოამზადეს და, ის იყო უნდა შეეხვიათ, რომ ამბულატორიაში ვიღაც შემოვარდა და აღელვებული ხმით თქვა. ომი დაიწყო.

ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს.

## „შრონტზე წაკვლი“

კასპის საშუალო სკოლის გუნდმა რაიონში პირველი ადგილი დაიკავა სამხედრო-სპორტულ შეჯიბრებაში, მაგრამ არც ნოდარს, არც მის თანაგუნდელებს და არც გულშემატკივრებს აღარ ახარებდათ მიღწეული წარმატება. ომის დაწყების საშინელმა ცნობამ ყოველგვარი სიხარული ჩაჰკლა მათ გულში. ცუდქი, დაუდგარი ნოდარი ძალზე შეიცვალა. განა მარტო ის? ყველა მისი ამხანაგი. დინჯები და ჩაფიქრებულეები გახდნენ. მუდამ მოუსვენარი კატოც აღარ ანცობდა. სევდა ჩაუდგა თავლებში.

ნოდარის თვალში საგნებმა, მოვლენებმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგეს. რაც ამ ორიოდე დღის წინ ახარებდა, აღელვებდა, ახლა ზოგჯერ სასაცილოდაც კი ეჩვენებოდა. რაღაც აწუხებდა, მოსვენებას უკარგავდა, მაგრამ ვერ მიხვდარიყო, რა. ომი? რა თქმა უნდა, ომის დაწყება მძიმე ლოღივით. აწუხა გულზე, მტკივნეულად განიცდიდა ფაშისტების მიერ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღებას, მიწაწყლის გათოლვას. ამას ხომ ყველა განიცდიდა, მაგრამ მასავით უსაქმოდ კი არ იყვნენ. კიდევ უფრო მეტი ენერგიით შრომობდნენ, ვიდრე ომამდე. მამაც ომვითად იყო შინ, დღე-ღამეს ასწორებდა.

— სწავლა მაინც იყოს, გულს გადა-

ვაყოლებდით, — უთხრა ერთხელ კატომ.

— შენი არ ვიცი და, მე კი სწავლასაც ვერ დავეუდებდი გულს.

— რა უნდა ვქნათ, რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა კატომ და ნოდარს მიაჩერდა, თითქოს ნოდარი ამ საქმეში დიდად გამოცდილი ყოფილიყო.

ნოდარი ფიქრებში წავიდა და კატოსათვის არ უპასუხნია. მერე გაჩერდა და უცებ თქვა:

— ფრონტზე წავალ!

კატომ გაკვირვებით შეხედა.

— გაგიჟდი, ბიჭო?

ნოდარს გაეღიმა.

— როგორ, ფრონტზე გიჟები მიღიან?

კატომ მიხვდა, რომ კარგად არ გათოვებდა ნათქვამი და გამოსწორებასცადა:

— მე მაგას არ ვამბობ. ბავშვები ფრონტზე არ მიჰყავთ.

— ვინ არის ბავშვი! — იწყინა ნოდარმა.

— კარგი, ნუ ცხარობ... — შეუტია

ტზე“. — უცებ თავისივე ფიქრმა შეაკრთო, ფრონტზე მიმავალი ნოდარი წარმოიდგინა და გული შეუტოკდა. „მართლა რომ წავიდეს! არა, არ გაუშვებენ, ბავშვს რა უნდა ფრონტზე“, — თავს იმშვიდებდა გოგონა.

„წავალ, აუცილებლად წავალ!“ — ფიქრობდა ნოდარი, მაგრამ წარმოდგენილი არა ჰქონდა, თუ როგორ მოახერხებდა ამას.

ს ა ქ მ მ მ თ ვ ი თ ო ნ მ ო მ კ მ ნ ა

სამხედრო კომისარიატთან აუარება ხალხი იყო თავშეყრილი, უმთავრესად — ახალგაზრდები. ზოგი მათგანი უკვე არმიის გასამგზავრებლად იყო გამზადებული და ნათესავებსა და ახლობლებს ეთხოვებოდა. ზოგი განცხადებას წერდა, ფრონტზე მოხალისედ გამიშვითო; ზოგიერთი, რომელთაც, ეტყობოდა, სხვადასხვა მიზეზების გამო უარი უთხრეს ფრონტზე წასვლაზე, ბრახობდა.

ნოდარმა აღექსანდრე ძია შენიშნა. იგი წვევამდელებთან იდგა და რაღაც

უბრუნდა:

— მოდი, ბიჭო, ინსტრუქტორად იმუშავე ჩვენთან, შტატგარეშე ინსტრუქტორად.

— რა უნდა გავაკეთო?

— სროლა ბრწყინვალედ იცი, შაშხანას კარგად იცნობ, ეგ უნდა ასწავლო წვევამდელებს.

ნოდარი შინ გახარებული დაბრუნდა. გულზე მოეშვა: ამიერიდან უსაქმოდ აღარ იქნება. მეორე დღეს თაბაშირი მოხსნის და საქმეს შეუდგა. საღამოს მამა ცუდ გუნებაზე დაბრუნდა შინ, ნოდარი მაშინვე მიხვდა მიზეზს.

ამას წინათ მამამ პატაკი დაწერა რესპუბლიკის სამხედრო კომისრის სახელზე, ნოდარმა წაიკითხა პატაკი მამა წერდა:

„რაიონში წარმატებით დამთავრდა მობილიზაცია. ყველაფერი გაკეთებულია შემდგომი ნორმალური მუშაობისათვის. ჩემი ადგილი ასეთი პასუხსაგები მომენტის დროს, მოქმედ არმიაშია. გთხოვთ გამიშვათ. პირობას ვიდლევი, რომ ჩემს მოვალეობას სამშობლოს წი-



მარცხენი:  
კონსტანტინე  
ჩხარტიშვილი  
და  
მისი  
ვაჟი  
ნოდარი  
ფრონტის  
წინა  
ხაზში.



კატომ. — შენ ფრონტი ფლავის ჭამა ხომ არ გგონია.

— ალბათ შენა გგონია, მე კი ვიცი, რაც არის, და წავალ კიდევ.

მერე ორივემ უხმოდ განაგრძო გზა და ორივე თავთავისმა ფიქრმა წაიღო.

„რა ყოჩალია, — ფიქრობდა კატომ. — ბიჭი რომ ვიყო, მეც ასე მოვიქცეოდი, აუცილებლად წავიდოდი ფრონ-

განკარგულებას აძლევდა. ნოდარი რომ დაინახა, თავისთან ისმო. ხელი როგორ გაქვსო — ჰკითხა.

— კარგად, მალე თაბაშირს მომხსნიან, — მიუგო ნოდარმა.

აღექსანდრემ სიძნელეებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ინსტრუქტორები არა გვყოფნის წვევამდელთა მოსამზადებლადო. მერე ცოტა ჩაფიქრდა და ნოდარს მი-

ნაშე შევასრულებ ისე, როგორც საბჭოთა ოფიცერს შეეფერება“.

მამა ყოველდღე ელოდა პასუხს, მაგრამ პასუხი იგვიანებდა. და აი, დღეს უარი მიიღო.

ჩ ა შ ლ ი ლ ი შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა

სწავლა დაიწყო. ნოდარი ლა ძისი თანაკლასელები მეცადინეობას შეუდგ-

ნენ, თუმცა ძველი ხალისი აღარ ჰქონდათ. მოსკოვთან ფაშისტთა ჯარების განადგურებამ მართალია დიდად გაახარა ყმაწვილები, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ ძლიერი იყო.

ნოდარი, სწავლასთან ერთად, შტატგარეშე ინსტრუქტორად მუშაობდა. მაგრამ პირვანდელი ხალისი აქაც ჩაუქრა.

დაღვა 1942 წელი. მამამ კიდევ დაწერა პატაკი. ამჯერად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის სახელზე და მალე პასუხიც მოვიდა. მაიორი კონსტანტინე ჩხარტიშვილი მოქმედ არმიის გაიწვიეს.

ნოდარმა ისევ აიყარა გული ყველაფერზე. ასლა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ფრონტზე წასვლა. თანამოაზრეც იპოვა და ჩუმად დაიწყო მზადება. ერთი გერმანული მეცხვარე ძალით ჰყავდა, ძალზე უყვარდა, მაინც გაიმეტა, — გაყიდა, რომ ცოტაოდენი სამგზავრო ფული შეეგროვებინა. თითქმის ყველაფერი მზად იყო, ხელსაყრელ დროსდა ელოდნენ, მაგრამ საიდუმლო შეთქმულება გაიხსნა და ფრონტზე გაპარვის გეგმა ჩაიშალა.

დედა შემოფოთებული იყო. იცოდა შვილის დაუდგრომელი ხასიათი. სულ ერთია, შინ არ გაჩერდებო, და გადაწყვიტა მეუღლესთან წასულიყო რჩევისათვის. კონსტანტინე ჯერ-ჯერობით აზერბაიჯანში იყო და ერთ დღეს დედა და შვილი მამის სანახავად წავიდნენ.

კონსტანტინემ მეუღლისაგან შვილის გადაწყვეტილება რომ მოისმინა, ჩაფიქრდა, მერე კი უთხრა:

— დატოვე ჩემთან, აქ იყოს. ერთად ვიქნებით, ჩემთან არაფერი გაუჭირდება.

ასე მოხვდა მერვეკლასელი წარჩინებული მოსწავლე ნოდარ ჩხარტიშვილი მოქმედ არმიის.

### შურიისძიების ცეცხლით გულანთებული

კონსტანტინე ჩხარტიშვილი პოლკის მეთაური იყო. ნოდარი, მამასთან რომ რჩებოდა, დარწმუნებული იყო, თვითონაც ისეთივე წითელარმიელი იქნებოდა, როგორც ყველა სხვა. მამამ იგი საყარაულო ათეულში ჩარიცხა. ნოდარი სამაგალითოდ ასრულებდა თავის მოვალეობას.

მალე, მოულოდნელად, პოლკი ფრონტზე გაგზავნეს. 1942 წლის მძიმე დღეები იყო. მტერმა ფრონტის ხაზი გაარღვია ყირიმში, მერე კი ყუბანის ველებში გამოიჭრა და კავკასიის მისადგომებს შემოუტია.

ნოდარი ფრონტის წინა ხაზისკენ ილტვოდა, მერე მზვერავთა ოცეულს მიეკვლიდა და ბევრ საშიშ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. სხვასთან ერთად არაერთი და ორი საგულისხმო ცნობა

მოიტანა და მოენც მოიყვანა.

ერთ დღეს, სოფელ ლიმან-კირპლი-სათვის ბრძოლის დროს, მზვერავები მოიერიშეთა პირველ რიგებში აღმოჩნდნენ. ცხარე ბრძოლა იყო. სოფელი ხელიდან ხელში გადადიოდა. ვაჟაკურად იბრძოდა ნოდარი. თერთმეტი ფაშისტი

## პიონერული ცნობრების მატიანე

1937 წლის 2 იანვარს ლენინგრადის პიონერთა სასახლეში გაიხსნა მოსწავლეთა მესამე საკავშირო საქადრაკო ტურნირი. შეჯიბრში მონაწილეობდა 18 ქალაქის გუნდი. პირველი ადგილი წილად ხვდათ ლენინგრადელ მოსწავლეებს. პირად პირველობაში გაიმარჯვა, დღეს სახელგანთქმულმა დიდოსტატმა, მსოფლიოს ექვს ჩემპიონმა ვასილ სმისლოვმა.

1941 წლის 2 მაისს გაიხსნა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

1951 წლის სექტემბერში თბილისში დაარსდა ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგური.



გამოასალმა წუთისოფელს. საღამოს სოფელი განთავისუფლებული იყო. ამ ბრძოლაში მამაცობისათვის პოლკის ყველაზე ახალგაზრდა მებრძოლი ნოდარ ჩხარტიშვილი მედლით — „მამაცობისათვის“ — დააჯილდოვეს.

მამაცურად იბრძოდა ნოდარი მთელი რვა თვე. მაშინაც კი, როცა დაიჭრა, ბრძოლის ველი არ დაუტოვებია.

იმ საბედისწერო დღეს ყუბანის ველზე პოლკს გამძაფრებული ბრძოლა მოუხდა მტერთან. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა პოლკის მეთაური კონსტანტინე ჩხარტიშვილი. მებრძოლებმა დაღუპული მეთაურისათვის ვაჟაკურად

იძიენ შური. მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია.

როცა ნოდარმა მამის დაღუპვის ამბავი შეიტყო, ლაზარეთიდან გაიპარა. ბიჭს ნამტირალევი თვალები ჰქონდა და შურისძიების ცეცხლით გულანთებული ყმაწვილი ფრონტის წინა ხაზზე გაშვებას ითხოვდა.

ნოდარი წინა ხაზზე აღარ გაუშვიათ. ძლივს დააწყნარეს და დაარწმუნეს. დაჭრილი ხარ და მკურნალობა გჭირდებაო. თანაც, შენი ტოლები ჯერჯერობით მერხებს უსხედან და სწავლობენ. შენც ვალდებული ხარ ისწავლო. უთხრეს, რომ მამისათვის შურს მისი მებრძოლები იძიებდნენ. უკვე იგემა მტერმა შურისმაძიებელთა გააფთრებული იერიში.

ნოდარ ჩხარტიშვილი შინ გამოისტუმრეს.

### მიმხრეკლასელებმა გადაწყვიტეს

დიდი სიხარული სუფევდა კასპის საშუალო სკოლაში: ნოდარ ჩხარტიშვილი, მათი თანასკოლედი, დაბრუნდა ფრონტიდან. დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყეს მეგობრებს. ყველას უნდოდა პირადად გასაუბრებოდა და ფრონტის ამბები გამოეკითხა. განსაკუთრებით ამაყობდნენ ნოდარის თანაკლასელები — უკვე მეცხრე კლასის მოსწავლეები. ამაყობდნენ, რომ მათი თანაკლასელი ასეთი გმირი იყო, სამშობლოსათვის სისხლი დაღვარა და მკერდს მედალი უმშვენებდა.

მარტო ერთი რამ აწუხებდათ: ნოდარი მერვე კლასში უნდა დამჯდარიყო და ამიერიდან მერვეკლასელთა თანამერხეული უნდა გამხდარიყო. ამას ვერ შეგუებოდნენ მეცხრეკლასელები. გადაწყვიტეს დირექციისათვის ეთხოვათ, რომ ნოდარი მეცხრე კლასში დაესვათ, ჩვენ დავეხმარებით და სწავლაში დაგვეწვავთ.

დირექციასაც ასე ჰქონდა გადაწყვეტილი. რა თქმა უნდა, მარტო მოსწავლეთა დახმარება არ იკმარებდა, მასწავლებლებიც მიუშველებოდნენ. თვითონ ნოდარიც ნიჭიერი ბიჭი იყო და ყველას სწამდა, რომ შესძლებდა თანაკლასელთა დაწვევას.

თითქმის 30 წელი გავიდა იმ მარად-დაუვიწყარი დღეებიდან. ნოდარს აუნდა ოცნება: სკოლის დამთავრების შემდეგ საარტილერიო სასწავლებელში სწავლობდა და ოფიცერი გახდა. ნოდარისა და კატოს სკოლის მერხზე დაწყებული დიდი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ისინი შეუღლდნენ. შვილებიც ჰყავთ, შვილიშვილებიც. უფროს ვაჟს ნოდარმა მამის პატივსაცემად კონსტანტინე დაარქვა.

# წითელწყაროელი

## ქალბაქიესლეხი

წითელწყაროს საშუალო სკოლის პიონერთა ოთახში ჩვენი ყურადღება ვოლგოგრადის მე-2 საშუალო სკოლის პიონერების ბარათმა მიიპყრო. იგი ლელა იაკობიშვილის სახელზე იყო გამოგზავნილი.

თანატოლები ლელას წერდნენ: „...სამამულო ომის იმ მრისხანე დღეებში, როცა ჩვენს ქალაქს უამისტური ურდოები მოადგნენ, მტრის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის შვილებთან ერთად, მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ვაჟაკებიც.

გადმოცემით ვიცით, რომ ერთ-ერთ გაათრებულ ბრძოლაში, ქალაქის განაპირას, ქვეგანაყოფი შეტევაზე ქართველ მეთაურს წამოუყვანია. მტრისთვის დიდი ზარალი მიუყენებიათ, მაგრამ მეთაური მძიმედ დაჭრილი დაცემულა ბრძოლის ველზე. იქვე, მახლობლად მცხოვრებ მოხუც ცოლ-ქმარს (რომელთა გვარი ვერ გამოვარკვევთ) შინ შეუყვანიათ დაჭრილი, ჭრილობები შეუხვევით, გულთბილობა არ მოუკლიათ.

დაჭრილს სამი დღე უტოცხლია. მესამე დღეს ქართული სიმღერა უმღერია და უთქვამს: ეს სიმღერა დედას უყვარდა, მაგრამ ალბათ ვეღარასოდეს მოისმენსო... საღამოთი გარდაცვლილა. მოხუცებს მეომრის ცხედარი სახლის ეზოში დაუკრძალავთ.

როცა ქალაქში მშვიდობა ჩამოვარდნილა და ქვემეხების გუგუნს შორს, დასავლეთისაკენ გადაუნაცვლებია, იმ უბნის მცხოვრებთ ქართველი მეთაურის ცხედარი ჩვენი სკოლის ეზოში გადმოუსვენებიათ და საძმო საფლავში დაუკრძალავთ.

აქ სულ ცხრა ვპირი წევს, ცხრა სხვადასხვა ერის შვილი. ერთი მათგანი ქართველია: ფარნაოზ ნიკოლოზის ძე შაიშველაშვილი.

ჩვენი თხოვნაა, იქნებ დაგვეხმაროთ და ფარნაოზის მშობლებს ან მის სხვა მახლობლებს მიაკვლიოთ;

თუ მიაგნებთ მათს კვალს, გთხოვთ მოგვწეროთ მისამართი“.

წითელწყაროელ პიონერებს შუაგულ ქალაქში მცხოვრებ ნიკა პაპას მიგნება ცხადია არ გაუჭირდათ. მათ ბინაში, საწოლის თავზე, მხედრულ ფორმაში გამოწყობილი, ომში წასული ოარი ვაჟაკის მეტყველი სურათი ჰქონდა.

ორივე პედაგოგები იყვნენ — უფროსი გიორგიც და უმცროსი ფარნაოზიც. მშობლებმა იმ მრისხანე დღეებში

ერთდროულად გააცილეს შვილები სამშობლოს დასაცავად.

ჯარისკაცის სამკუთხა ბარათებს მეომარ შვილთა გულის სითბო და მტერზე გამარჯვების რწმენა მოჰქონდა, მაგრამ მალე ეს ბარათებიც სანატრელი გახდა.

ვოლგოგრადელმა პიონერებმა დიდად გაიხარეს, როცა წითელწყაროელ კვალმძიებელთა საპასუხო წერილში იმ ქართველი გმირის მშობლების მისამართი წაიკითხეს.

მალე ნიკა პაპამ ვოლგოგრადელთა წერილი მიიღო.

„ძვირფასო ვარო ბებო და ნიკა პაპა, 9 მაისს ძმათა საფლავზე, აადაც თქვენი შვილი განისვენებს, გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგს ვმართავთ, გულითადად გთხოვთ თუ შესძლებთ, ჩამობრძანდით და მონაწილეობა მიიღეთ ამ საპატიო შეკრებაში“.

ვოლგოგრადელი პიონერები ქართველი გმირის მშობლებსა და ნათესავებს აეროდრომზე დახვდნენ...

ძმათა საფლავზე იმ დღეს უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი. პატარები თუ მოხუცები ცოცხალი ყვავილებით ამკობდნენ გმირთა საფლავს.

ვარო ბებო საძმო სავანის თავზე გაკეთებულ მარმარილოს დაფაზე ამოტვიფრულ გვარებთან შეჩერდა...

დედამ შავი მანდილი ცხრა საფლავს გადააწვდინა. ტოპრაკიდან ქართული მიწა ამოიღო და თითო პეშვი ყველა სავანეს დააყარა.

ნიკა პაპამაც საძმო საფლავის წინ დაიმუხლიკვერა...


— გმადლობთ, ბავშვებო, რომ გვაპოვნინეთ, ჩემი შვილის სამარე, ცხრა გმირის საფლავი. — მადლობას უხდინდნენ მოხუცები პიონერებს.

ვოლგოგრადიდან დაბრუნების შემდეგ გმირის მშობლებს შეხვედრა მოუწყეს წითელწყაროელმა პიონერებმა.

შეხვედრაზე ლელა იაკობიშვილმა წაიკითხა თავისი ნარკვევი. „ეზოში ქვა ყრია...“, რომელშიც ასახული იყო ძმების — მასწავლებლების — გიორგი და ფარნაოზ შაიშველაშვილების ცხოვრებისა და ბრძოლის ეპიზოდები. ვარო ბებო და ნიკა პაპა პიონერებს ღიმილით შესცქეროდნენ, თვალებზე კი ცრემლი უბრწყინავდათ.

წითელწყაროს პიონერები მხნედ მიაბიჯებენ პიონერული მარშის სხვა მარშრუტებითაც. წარმატებებით ხვდებიან თავიანთ სახელოვან იუბილეს.

### 3. გოჩიტაშვილი.





# ჩეჩენი

სოლომონ  
ღვინაძე

მხატვარი  
ლიმონი მარსიაში.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— აბა, ბეჟიაგ, წავედით მთაში და ეგ არი!  
როცა ჩემმა ძმამ ეს მითხრა, უკვე მზე ჩადიოდა, ან შეიძლება ჩასულიც იყო, იმიტომ, რომა სწორედ სამზერზე, დასავლეთით, შავი, ძალზე შავი,

ჩახუჭუჭებული ღრუბლები შეყრილიყვნენ და მზე შთაენთქათ.  
კიდევ გამიხარდა ჩემი ძმის ნათქვამი, კიდევ გამიკვირდა. იმიტომ გამიხარდა, რომ ამ დღეს ჯერ კიდევ მაშინ ველოდი, ვიდრე ზაფხულის არდადე-

გები დადგებოდა. მინდოდა წაფხულ მთაში, მწყემსებთან გამეტარებინა და იმათი ხიფათიანი ცხოვრებით მეცხოვრა. გაკვირვებით კი აბა როგორ არ გამიკვირდებოდა, მით უფრო რომ წუთდაწუთ, თავსხმა წვიმა გახლდათ მოსალოდნელი, რა დროს მთაში წასვლა იყო! რა ხალხია ეს მწყემსები. არც უამინდობას ვრიდებიან, არც ღამეს!

— ჰა, რას გაჩუმდი, ბიჭო, ხო არ გადაიფიქრე!

— გადაიფიქრე არა, ისა!..

— აბა ჩქარა, შაქრია ძია გველოდება, ისიც მოდის.

— შალო, თოფი რო არა გაქ, ამ შუა ღამისას... — არ მინდოდა ეს მეტყვა, მაგრამ უნებურად წამოხმდა. ვიცოდი, რომ ჩემს ძმას მამაჩემისეული ორლულიანი „ზაურეი“ მთაში ჰქონდა დატოვებული.

— თოფი შაქრია ძიას მთაქ.

— ეჰ, იმისი თოფი...

— მიდი შენ დროზე გაემზადე, — წამითა ჩემმა ძმამ, — თბილად ჩაიცვი, მთა არის. შენ ის არ გვეგონოს.

შაქრია ძიაც მწყემსია. ჩემი ძმისა არ იყოს, ნადირობა იმასაც უყვარს, ოღონდ ერთი ძველებური გრძელლულიანი თოფი აქვს და სწორედ ისეთ დროს უმუხთლებს ხოლმე, როცა ნადირი ზედ წაადგება.

სახელდახელოდ გავემზადეთ. ზურგჩანთებში ჩავიწყეთ თონის პურები, ნიორი, ხახვი, ყველი და ყვავილი.

ვინც შეგვხვდებოდა, ყველა იმას გვეკითხებოდა ამ უდროო დროს საით გამგზავრებულხართო.

— მთაში მივდივართ-მეთქი! — შალას მაგივრად მე ვპასუხობდი.

— მაშ შენც მიდიხარ, ბეჟიაგ, ჰა? კაცო, შალო, ეგ ბიჭი მთაში არ დაკარგოთ, — ღიმილით ეუბნებოდნენ ჩემს ძმას, ისიც იღიმებოდა, სიყვარულით გადმოხედავდა ხოლმე და ღიმილითვე უპასუხებდა: ნუ გეშინია, არ დაგკარგავო.

ჩემი ძმა სიყმაწვილეშივე ეზიარა მწყემსის ნაზადს. მამით რომ დავობდით, აი მაშინ. სწავლა მიატოვა და მთაში წავიდა.

— ისწავლე, ბეჟიაგ, შენ მაინც ისწავლე, — მეტყოდა ხოლმე ჩემი ძმა.

შაქრია ძია უკვე გამზადებულიყო და სოფლის თავში გვიცდიდა. სიყვარულით გამიღიმა, როგორა 'ხარო, მომიკითხა და მერე ჩემს ძმას მიუბრუნდა:

— შალო, უთუოდ წვიმა მოვა, აგასწროთ მაინც ამ ოხერს.

ტყის გასას რომ დავადექით, დღის ნათელი უკვე ქრებოდა. სევდიანად კვდებოდა დღე და მის ნაცვლად იულაყნებოდა პირქუში შემზარავი ღამე. მთელი არემარე გასუდრულიყო. ჩიტებიც კი აღარ ხმაურობდნენ. ეტყობა, ავდ-

რის მოლოდინში თავიანთ ბუდეებში შებინავებულიყვნენ. დიდი წიფლის ხე-ებიც უძრავად, თითქოს კუშქად იდგნენ და ფოთოლსაც კი არ არხევენდნენ.

სადღაც გაიღვავა და ყრუ რუხრუხი ხეების კენწეროზე გადაგორდა. ფეხს აუწიქარეთ, მაგრამ ჯერ მეთოხედი გზაც არა გვექონდა გავლილი.

უცებ ეს უცნაური მღუმარება თანაბარმა ხმაურმა დაარღვია. ეს იყო ფოთლებზე დაცემული წვიმის წვეთები. ასე იცის ტყეში. წვიმა ერთბაშად არ იწყება, პირველი წვეთები ფოთლებზე ახმაურდებიან, მერე თანდათან მოუმატებენ ხმაურს, გადარეცხავენ გრძელ, ბრტყელ ფოთლებს და იქიდან მიწაზე დაუშვებინან. რაც არ უნდა დიდი წვიმა იყოს, ტყეში მაინც დინჯად წვიმს, რადგან დაბურული ხეები პირველად თვითონ ეგებებიან მოხეტოქვით წამოსულ წვიმას.

უკვე ჩამობნელდა. ჩვენ ჯერ წვეთი არ დაგვეცემია, ჯერ ისევ ფოთლებზე გაქვთ ხათქახუთქი.

— წვიმა ჯანდაბას, გზა არ აგვერიოს! — ვთქვი და იმ წუთში ვიგრძენი კისერში ცივი, ფოთლიდან ჩამოვარდნილი წვიმის წვეთი.

— აგვერიოს არა, სამი კაცი ვართ, გზა როგორ აგვერევა, ბეჟიავ! — გამამხნევა შაქრია ძიამ. გულში სიამაყე ვიგრძენი, მეც კაცად მთვლიდნენ.

ისევ გაიღვავა და ისევ გადირუხუნა. წვიმამ იმატა, ახლა უკვე ხშირ-ხშირად მეცემოდა წვეთები.

უპოვნიათო, აი, ახლაც ერთმანეთს ეძახდნენ ადამიანის ხმით, იპოვე თუ ვერ იპოვენო. მათი ხმა პირველად მესმოდა. მართლაც, როგორ ჰგავდა მათი ძახილი ადამიანის ძახილს!

გზა განვაგრძეთ. მივდიოდით და ვფიქრობდი დედინაცვლისაგან განდევნილ და-ძმასე.

— ბიჭო, ბეჟიავ, აქა ხარ? — მკითხავდა ხანდახან შაქრია ძია და მეც მკვირცხლად, მხნედ გავუპასუხებოდი:

— აქა ვარ, მამ!

— ძალიან დასველდი?

— არა უშავს რა.

— არ დაგვეკარგო, კაცო, ხანდახან შეგვეხმინან ხოლმე, თვალთ მამაც ვერა ვხედავთ ერთმანეთსა და...

ათილდე წუთის შემდეგ შაქრიამ ჩემს ძმას ჰკითხა, სადა ვართო.

— ნაგომარში უნდა გავიდეთ მალე!

— უპასუხა ჩემმა ძმამ.

გზის გასაყართან შაქრია და ჩემი ძმა შედგნენ და ბჭობა გამართეს. შაქრია იძახდა, გინდა თუ არა, მარჯვნივ მიმავალ ბილიკს უნდა გავყვეთო, მაგრამ ჩემი ძმა არ ეთანხმებოდა, პირდაპირ უნდა წავიდეთო.

— რას ამბობ, ძია შაქრი, ეგ ბილიკი ბოსელაში გავვიყვანს.

— ბოსელაში რა გვინდა, კაცო, სად ჭილობანი, სად ბოსელა.

— უგრეა და რა ვქნა.

— არა მჯერა, შვილო, შენ გეშლება.

— აბა, მამ მაიცადე ცოტა ხანი. — უთხრა ჩემმა ძმამ და იმ ბილიკს გაჰყვა, შაქრიამ რომ დაიჩემა, ჩვენი გზააო.

ჩვენ, მე და შაქრია, ვიდექით ერთ ადგილას კუნაპეტ ღამეში და გვესმოდა შალა როგორ მიაფარუნებდა.

— ბეჟიავ, შენი ძმა ყოჩალი ბიჭია, მაგრამ ახლა ნამდვილად ეშლება გზა. ეს იგეთი უპატრონო სიბნელეა, რომა, ტყეში კი არა, შინდღორში დაიბნევი კაცი.

ჩემი ძმა მალე მობრუნდა და შორიდანვე დაიძახა:

— აკი გითხარი, ძია შაქრი, ეს ბილიკი მარჯვნივ უხვევს.

— მერე, ჭილობანი მაქეთ არ არი?

— რას ამბობ, ძია შაქრი, აქეთ ბოსელაა.

— ან მე გავგიჟდი, შვილო, ან შენ გეშლება.

— მაშინ რაღა მეთქმის, მაგრამ არა მგონია. მიდი, წადი და მოგყვები. კაცისას რომ არაფერს დაიჯერებო ხოლმე, შვილოსა.

სამივენი უხმოდ მივდიოდით. ვერცერთს ვერ გავგეტყუა ნაფსი. მივდიოდით რაღაცის მოლოდინით დაძაბულნი, უძრავხეებით და ვგრძნობდი, რომ რაღაც ბზარი გაჩნდა ჩვენს ურთიერთობაში.

სულ შოკლე ხანში პატარა მინდორზე გავედით. იქ ისერიგად აღარ ბნელოდა, როგორც ტყიანში. თითქოს ცაც დავინახეთ, ყოველ შემთხვევაში ვიგრძენით ცა.

— ხო არის ეს ნაგომარი, ძია შაქრი? — ჰკითხა ჩემმა ძმამ.

— ბიჭოს, მართლა ნაგომარში ვართ, განა! — მხარულად წამოიძახა შაქრიამ. — შენ გენაცვალე შალო, სწორი ყოფილხარ. რაზე არ დაგიჯერებდი და იმ ბილიკს გავყვებოდით, არ დაგიკარგებოდით სამი კაცი?! შენი ჭირიმი, რა ალღო გქონია, ჰა? ხმასაც აღარ ამოვიღებ, რა გზითაც გინდა წამიყვანე. ბეჟიავ, ხედავ რა ძმა გყავს? მე ამ ტყეში ვარ დაბერებული და მაინც დავიბენი. ეგ კიდევ, უყურე... სუნით ხო არ იგებ გზას, კაცო, ჰა? თუ კაცი ხარ, შალო, ბიჭებთან ნუ იტყვი ამას, თორემ მეტი სასაცილო აღარც უნდაო.

შალა იკინოდა. მე არაფერს ვამბობდი, მაგრამ გული სიამაყით მქონდა სასვე, რომ ჩემი ძმა ასეთი ყოჩალი იყო და ამ კუნაპეტ ღამეშიც კი იგნებდა გზას.

ნაგომარის მინდორზე მივაჭყაპუნებდით სამივენი. ელვა-ქუხილი აღარ იყო და თანაბრად, დინჯად წვიმდა. ისევ ტყიანში შევედით და მაშინვე ვიგრძენი, რომ იქ ნაკლებად წვიმდა.

— ბეჟიავ, სადა ხარ?

— აქა ვარ, ძია შაქრი.

— ცოტა ხანიც, ცოტა ხანიც და მივალთ კიდევ. იგეთ ცუცხლს დაგინთებ, რომ ალი ცას სწვდებოდეს.

— მაიცათ! — თქვა შალამ და გაჩერდა, სიბნელეს მიაყურა. ჩვენც გავჩერდით, სუნთქვა შევწყვიტეთ. საიდანღაც მგლის ყბუილი ისმოდა. ამ საზარელ ყბუილში სევდაც იყო და მუქარაც. ვინ იცის, იქნებ იმ მგელსაც რაიმე აწუხებდა; შიმშილი ან უამინდობა, და თანამომძებს უხმობდა?

— უყურე მაგას! — მშვიდად, ყოველგვარი შიშის გარეშე თქვა შაქრიამ.

— ეგენი მელორეების ბინას უტრი-ალეებენ. დაბლა, საღებელში უღგათ ღორი. — დაასკვნა ჩემმა ძმამ.

— ბეჟიავ, ხო არ გეშინია, ბიჭო?

— მეშინია არა...

— ნუ გეშინია. აი, თოფს გავისერი ეხლა და მაგათ სუ კუდით ჩქას ვასროლინებ.

და უცებ ვიგრძენი, რომა შაქრია ძია

არც იგრე არხეინად და გულგრილად იყო. ცოტა შეფიქრიანებული გახლდათ. სიბნელეში ვერ ვხედავდი, მაგრამ მესმოდა, შაქრია ძიამ როგორ მოიხსნა თოფი და როგორ შემართა ჩახმახი. ორი წამის შემდეგ ლულიდან გამოვარდნილი ცეცხლი სიბნელეს ეცა და თოფის გრიალმა ტყე დააყრუა.

— ჰო-ჰო-ჰოუ!

— ეჰე-ჰეე! — ჩემი ძმაც აპყვა შაქრია ძიას და იმათი ძახილი სადღაც ეჭოდ გაისმა.

— ჰაი, დედა გიტირეთ. დაგიფრთხეთ ანგელოზები! — მგლების მისამართით თქვა შაქრია ძიამ, თოფში ახალი ვაზნა ჩადო და გზა განვაგრძეთ.

ჩემმა ძმამ მიმიხმო, შუაში ჩამაყენა და მითხრა, ასე იარეო. გულში შიში ჩამივარდა, სადმე რამემ ხო არ გაიფაჩუნა-მეთქი.

— ბიჭო, შალო, სადა ვართ? — იკითხა შაქრია ძიამ.

— მალე ნიაურში უნდა გავიდეთ, ძია შაქრი.

— შენ პირს შაქარი, შალო. მე ფეტვივითა ვარ დაბნეული, ალბათ მხარი შეცვალა. ერთი ნიაურამდე მივიდეთ და

მერე თვალგებუკელა განვიხილოთ. მეც ვიცოდი, რომ ნიაურიდან ჩვენი მწყემსების ბინამდე მოკლე გზით იქ წუთილა იყო სავალი.

წვიმამ იკლო. ოდნავ უინჯლავედა. უფრო სწორად, ხეებიდანლა წვეთავდა ლეშში. ერთი ხანობა კიდევ ვიარეთ და ჩვენს თვალწინ უზარმაზარი სივრცე გადაიშალა. უცერად თვალი მოგვარ დაწრეტილ ღრუბლებში მბუჟტავ მთავრეს.

— აი, ესეც ნიაური! — თქვა ჩემმა ძმამ.

— ახლა კი მოვსულვართ და ეგ არი. შენი ჭირიმიე, შალო, შენ რო არა, ვინ იცის, სად ამოვეყოფდი თავს. აუჰ, დალოცვილო ნიაურო! გული გამინათდება ხოლმე აქ რომ ამოვალ. ბეჭიავ, შენ არ გინახავს ნიაური, არა? აბა ახლა რას დავინახავ, დილაზე მე და შენ ჩამოვიდეთ აქა და ნახე აქაურობა რა ლამაზია. ჰაი დედასა, მაშ ეს მთა რუისპირელებს უნდა წაერთოთ ჩვენი სოფლისათვის, მან წესიერი კაცი ამ ადგილს სხვას დააბეზებდა? სუ იმ ბეღურას ბრალია, მაგის დედა ვატირე. მაგან მარტო ქაფვა იცოდა.

ბეღურას ჩვენი კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ეძახდნენ მეტსახელად და შაქრია იმას უგზავნიდა ლოცვა-კურთხევას.

ნიაურის ქება ბევრჯერ გამეგო. ჩემი





მ. ზიათურის  
111 ს.ზ.  
სკოლის  
ნორჩი  
მხარეთმცოდნეობი  
ლაშქრობაზე.  
ფოტო  
ა. მახაშვირისა.

ძმა მეუბნებოდა, იმოდენა მინდორია, ოცი ფეხბურთის მოედანი გაიმართებაო. თანაც სულ სწორიო, ლამაზიო, ზედთაიგულებივით გაფანტულან ხეებიო. მიუშვებენ მთელ დღეს რუისპირელები საქონელს და სძოვენო. საღამოს დაუკლის ერთი მწყემსი და მორგაკავს ბინაზეო.

— მოდი, შალო, რუისპირელებს ანგელოზები დაგუფრთხოთ, ჰა? თან მუხლიც შევასვენოთ.

— დაგუფრთხოთ და დაგუფრთხოთ.

— თოფს ხომ არ გამოისვრიან?

— აჭამდე რა თოფი მოუწევს!

— მაიცა, შალო, მაგათ მგონი „ბერდენკაც“ უნდა ჰქონდეთ. ყოველ შემთხვევაში, ამ წიფელს ამოვეფაროთ. ჰაი, დედას გიტყვი, რუისპირელებო! მოდით აქა, ბიჭებო! — და ბავშვივით გამხიარულებული, ბავშვივით ხალისიანი შაქრია წიფლის ვეება ხესთან მივიდა, ჩვენც იქ მიგვიყვანა და სამივენი იმ ხეს ამოვეფარეთ.

აბა დავიწყითო, და დაიწყეს:

— უ-უუუ! უ-უუუ!

ორივენი ისე აპყვნენ ერთმანეთს, ისე გააბეს ყმული, ნამდვილ მგლებში ვერ გაარჩევდით.

ძაღვები აგნიასდნენ. მწყემსებმა თოფი დაცალეს და ძაღვებს გაეხმაურნენ, გაამხნევეს.

შაქრია ძია და ჩემი ძმა კიდევ სიცილით ისოცებოდნენ. მერე შეწყვეტდნენ სიცილს და ისევ გააბამდნენ:

— უ-უუუ! უ-უუუ!

გნიასობდნენ ძაღვები, ხმაურობდნენ მწყემსები, მაგრამ ბინა, ეტყობა, შორს იყო და ძაღვები ჩვენამდე ვერ აღწევდნენ, ან მოახლოვებას ვერ ბედავდნენ.

დიდხანს, დიდხანს იცინეს ჩემმა ძმამ და შაქრია ძიამ. მე კი ყელამდე კმაყოფილი, მხიარული, ვიდექი და გაოცებული მივჩერებოდი იმათ საქციელს. სამივეს უკვე დავიწყებულ იქნა ის ძნელი გზაცა და წვიმაც.

როდის-როდის, გული იჯერეს და მხიარულები, კმაყოფილები დავეშვით ვიწრო ბილიკზე. ჩვენს ბინას რომ მივადექით, ძაღვები ყფით გამოცვივდნენ, მაგრამ მაშინვე იცნეს მწყემსები და მობოღიშებით ავკმუტუნდნენ, კუდები ააჭიცივნეს.

— ჰეჰე! — გამოგვეხმაურა ვიღაც ბინიდან.

— ჰოჰო! — გაეპასუხა ჩემი ძმა.

— შალა მოდის, შალა და შაქრია. ცეცხლს შეუკეთეთ, შეციებულეები იქნებიან! — გავიგონე რომელიღაც მწყემსის ნათქვამი და იმავე წუთს დავინახე ცეცხლმა ნაპერწკლები როგორ გააჰყარა, ალბათ შეშა დააყარეს.

— ბიჭოს, ეს ვიღაცა, კაცო! — გაოცდა ნიკა, ჩემი ძმის მეგობარი, და ცეცხლის შუქზე შემათვლიერა: — ბეჭი-ავ, შენა ხარ? — წამოიძახა და ჩემს ძმას მიუბრუნდა: — შე დარდაკო, ამ ყიამეთში შენი თავი თუ არ გენანება, ბაღს რაღას ერჩი, ცოდო არ არი?

ჩემმა ძმამ გაიცინა:

— ეგ არაფერი, ნიკავ, მარტო სკოლაში სწავლა კი არ არის საქმე, ასეთებიც უნდა გამოსცადოს, უფრო მაგარი ბიჭი დადგება. — მერე მე გამომხედა და თვალი ჩამიკრა.

— ვისზე ამბობთ, კაცო, ბეჭიაზე? — გაიკვირვა შაქრია ძიამ. — დღეს რომ მაგან ივაჟკაცა, ბევრი ვერ დაიკვებნის. ეს რა ყოფილა, კაცო, ერთი არ დაუწუწუნია.

— ჯერ იკითხეთ, ვისი ძმა არის! — გაიცინა შალამ.

— ოჰო, ჰო-ჰო, უყურეთ ამას. შენოდენა რომ გახდება, შენ დაგემჯობინება.

— ეგრე უნდა მაშ. ეგრე უნდა! — იღიმებოდა შალა და ცეცხლს უმარჯვებდა.

ვისხედით აგუზგუზებული ცეცხლის პირას. გემრიელად შევექცეოდით ვახშამს და ვყვებოდით იმ ღამით გადახდენილ ამბავს. როგორ დაგაფრთხეთ რუისპირელები, როგორ შემოგვკმუვლა მგელმა და შაქრიას როგორ დაენა გზა. ეს თვითონ შაქრიამ აღიარა: ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, ბოსელაში ამოყოფდით თავსაო.

არ ვიცი, ძმებო, რა მოხდა იმ დამეს ჩემს ცხოვრებაში. ისე ვგრძობდი თავს, ისეთი ამაყი და ძლიერი ვიყავი, ეს ვეება დედამიწაც კი მემჩატებოდა და მზად ვიყავ პატარა ბურთივით ამეტაცნა.

ახლაც არ ვიცი, ძმებო, რა იყო ეს.

# გოგონებზე კუთვრანები

1922 წლის გაზაფხული იდგა... დუშეთში ახლად გახსნილი საბავშვო სახლის („ახალშენი“) ეზოში ერთ მზიან დღეს სახელდახელოდ შეკერილ ერთნაირ ფორმაში გამოწყობილ ნორჩებს წითელი ყელსახვევები უფრიალებდათ მკერდზე. გაისმა განკარგულება: „სწორდით!“, „სმენა!“ ბავშვებმა წარმოთქვეს პიონერული ფიცი და... ეწოდათ პიონერები! მერე, ყველანი კლუბში შეიკრიბნენ. უფროსებმა ბავშვებს მიულოცეს პიონერობა, პიონერული კოლექტივების ჩამოყალიბება...

ეს დღე მარად დაუვიწყარია იმ პიონერებისათვის, რომლებმაც პირველად მგზნებარედ შესძახეს საყვარელ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, დიდ ბელადს, ლენინს: „მზად ვართ!“ ეს დღე დაუვიწყარია აგრეთვე იმ ადამიანებისათვისაც, რომლებიც იყვნენ ამ პირველი პიონერული კოლექტივების ხელმძღვანელები.

სიტყვა ეძლევათ მათ!

**ნიკოლოზ სეთურიძე:** (საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პრორექტორი). დუშეთის მაზრის და ქ. დუშეთში პირველი პიონერული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მეც ვიყავი (მაშინ პიონერული კოლექტივები ეწოდებოდა)... ძვირფასი მოგონებებიდან ერთს გავიხსენებ: მაშინ ნორჩი თაობის ცხოვრებაში ახლად დაიწყო

პიონერული ლაშქრობები. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის წამომწყები და ხელმძღვანელი მე ვიყავი, ამ დროს ვმუშაობდი დუშეთის რაიონის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ხელმძღვანელად... ეს პირველი შორეული ლაშქრობა იყო, მარშრუტით: „დუშეთი-გუდაური“. ლაშქრობის გეგმა შევადგინე და გაერთიანებულ კრებაზე გავაცანით პიონერებსა და მათს მშობლებს. გეგმის შინაარსი ასეთი იყო: 1. ანანურის ციხესიმაგრის დათვალიერება და მისი მოკლე ისტორიის მიმოხილვა ადგილზე. 2. საქართველოს სამხედრო გზის ისტორია და ცნობილ ადამიან-

თა მოგზაურობა ამ მიდამოებში მათი ნაწარმოებების გარჩევა. 3. თეთრი და შავი არაგვი. საუბარი: „წყალი ენერგიის წყარო“. 4. მღეთის ხვეულების და კაიშაურების ველის ფეხით გადავლა. 5. მღეთის საბავშვო სახლის აღსაზრდელთა ცხოვრების გაცნობა, აღსაზრდელებთან შეხვედრა. 6. მთიულთა ზნე-ჩვეულების გაცნობა...

...ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირელებმა: ტოსია ჯაფარიძემ, თინა გელიაშვილმა, სარა ბედუკაძემ და სხვებმა. არასოდეს დაგვავიწყდება ის ნათელი დღე! ჩემი მეგობრობა დუშეთის პიონერებთან დღესაც გრძელდება.

## გეგლარ არუთინოვი

— (პარტიის დუშეთის რაიკომის აგტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე). მახსოვს რა დიდი ხალისით ვსაქმიანობდით, რას არ ვაკეთებდით მაშინდელი პიონერები, როგორ ვესწრაფოდით გავმხდარიყავით კომკავშირელის სახელის ღირსი. უფროსი კლასის პიონერებს კომკავშირულ კრებებზეც გვასწრებდნენ. თვალწინ მიდვას ერთი ასეთი კრება. ჩვენთან მოსული იყო კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანი. კრების



დასასრულს ვილატამ წამოაყენა წინადადება, კრება „ინტერნაციონალი“ დავამთავროთ. მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. პიონერები უკან ვიდექით. ყველა მღეროდა, კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანიც... სიმღერის დროს ერთმა პიონერმა ამხანაგს რაღაც გადაულაპარაკა. დამთავრდა სიმღერა.

— „დასხედით!“ — მოისმა სამაზრო კომიტეტის მდივნის ხმა. დარბაზი გაინაბა. „ვინ მოგვით უფლება ილაპარაკოთ მაშინ, როცა „ინტერნაციონალი“ სრულდება, — გვითხრა მან პიონერებს, — ამ სიმღერით იხსენებოდა ხალხი იმისათვის, რომ თქვენთვის ბედნიერი ცხოვრება დამდგარიყო! მას შემდეგ კრებაზე წესრიგი არავის დაურღვევია... კომკავშირლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თინა გელიაშვილი. ხალისიანი, დაუზარელი და ჭკვიანი ქალიშვილი იყო. (შემდეგში „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი). იგი ყველა პიონერს უყვარდა, შემდეგ ჩვენი მასწავლებელიც იყო, გვასწავლიდა პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას... მას ყველანი პატივს ვცემდით. დიდად განათლებული მასწავლებელი გახლდათ. ბევრს ვკითხულობდით, ვკამათობდით, ვმართავდით კითხვა-პასუხის სადამოებს...“

**თამარ მირიანაშვილი** — (ამჟამად პენსიონერი): მესამე კლასში ვიყავი, როცა მეშვიდე და მერვე კლასების მოსწავლეებმა გამოგვიცხადეს, გაკვეთილების შემდეგ კლუბში საერთო კრებას დაესწართო. შევიკრიბეთ. იქ იყვნენ სკოლის დირექტორი, მასწავლებლები. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ჩვენთვის უცნობი კაცი, რომელმაც ილაპარაკა პიონერული კოლექტივებისა და ყელსახვევის მნიშვნელობაზე, პიონერის მოვალეობაზე. რამდენიმე დღის შემდეგ უფროსი მოსწავლის თინა გელიაშვილის ხელმძღვანელობით კლასის წინაშე პიონერული ფიცი დავდეთ და ასე გავხდით პიონერები. ჩვენი პიონერული კოლექტივის ხელმძღვანელი იყო კოლია სეთურიძე. მე კირგოლის ხელმძღვანელად ამირჩიეს... ვაწყობდით ჟურნალ-გაზეთების კითხვას, ვეხმარებოდით ქვრივ-ობლებს, სკოლას — ავეჯის შეკეთებაში... ძალიან გვიზიდავდა პიონერული მუშაობა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა კომკავშირელი გავხდი. ეს იყო 1926 წელს, მაშინ თოთხმეტი წლისა ვიყავი. ამის შემდეგ მე თვითონ ვხელმძღვანელობდი პიონერებს...

**ლიზა გარაყანიძე** — (დღემდე რაიფინგანის გამგე):  
დღემდის პიონერულ კოლექტივებს შეფობას უწევდა საქართველოს მთიელთა კულტურული საზოგადოება.  
ამ საზოგადოების წევრები იყვნენ დღემდის უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნილი ამხანაგები: ს. როინიშვილი, კ. სეთურიძე, შ. ფარესიშვილი, ტ. ჯაფარიძე. შეფები წელიწადში ორ-სამჯერ ამოდოდნენ და მოჰქონდათ პიონერებისათვის საჩუქრები: საყვირი, დოლი, დროშები, წიგნები, სასწავლო ნივთები და ხელმოკლე პიონერებისათვის ტანსაცმელიც. ამოწმებდნენ ჩვენს მუშაობას. ჩემი მუშაობაც მომიწონეს და წითელი საკაბით დამაჯილდოვეს. როგორ მიხაროდა! კაბა შევიკერე და მხოლოდ პიონერულ შეკრებებზე ვიცვამდი... დღეს თქვენთან ერთად, ძვირფასო ბავშვებო, ჩვენც ვზეიმობთ პიონერიის სახელოვან იუბილეს და მოგიწოდებთ: იყავ მზად ჩვენი სამშობლოსა და მშობლიური კომუნისტური პარტიის სამსახურისათვის!

ირაკლი გოგოლაური,



თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის პიონერთა სახლმა ჩაატარა მემორიუმის ფესტივალი — „თეთრთავი თანაპარსკვლავი“. რომელიც მიემდინა სსრკ-ს შიგნით 50 წლისთავს. ფესტივალიში მონაწილეობა მიიღო რაიონის ყველა სკოლა და მოწვეულმა სტუმრებმა: უკრაინიდან, მოლდავთიდან, ყირგიზეთიდან, ყაზახეთიდან, ესტონეთიდან და მოსკოვიდან.

1. ჰართველი, უზბეკი და ესტონელი მოსწავლეები ცვლიან საგპარდე ნიშნებს.
2. თბილისელმა მოსწავლემ ლია ხარაბაძემ კიდევ ერთი უკრაინელი მემორიუმი შეიძინა.



ფოტო ა. პაპასნიძისა.





თვის სახელი — მწისი ჩვენში ბიზანტიიდან გავრცელდა, მანამდე მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული, ამ თვეს ჩვენში ვარდობის თვეს უწოდებდნენ. მაისის ორგვარი ახსნა არსებობს: ერთნი ფიქრობენ, თითქოს ეს სახელი მას რომის პირველმა მეფემ რომულმა დაარქვა. თითქოს ამით მან პატივი სცა სენატის უხუცესთ. („მაიფ“ — ლა-

თინურად — დიდს, უმაღლესს ნიშნავს), ეს თვე მოხუცების იყო თურმე, ამიტომ მაისში ქორწინება აკრძალული ყოფილა. მეორე მოსაზრებით, თვის სახელი ბერძნული ბუნების ღმერთის „მაიას“ სახელიდან არის წარმომდგარი. იგი გოლიათ ატლანტის შვილი ყოფილა, რომელსაც მხრებით ეჭირა ზესკნელი. მაიას შვილი — ჰერმესი ნაყოფი-

ერების, ვაჭართა და მოგზაურთა ღვაება იყო. ბერძენთათვის მაისი ყვავილებისა და სიყვარულის თვედ ითვლებოდა.

შუა საუკუნეებში ბევრ ქვეყანაში მაისის თვეში დიდი სასოფლო დღესასწაულები იმართებოდა, ანთებდნენ მაისის კოცონებს და მართავდნენ ცეკვა-თამაშს.

მაისში თავდება გაზაფხული. დღე მატულობს ტემპერატურაც განუხრელად იზრდება. სულ უფრო მცირდება ცივი და თბილი ჰაერის მასების ბრძოლა.

ტემპერატურა: თბი-

ლისში — საშუალო პლუს 17,1 გრადუსია, მაქსიმალური — პლუს 33 (1945 წ.), მინიმალური — პლუს 1. (1901 წ.). ირკუტსკში: მაისის საშუალო ტემპერატურაა პლუს 5,6, მაქსიმალური — პლუს 32. (1925 წ.), მინიმალური — მინუს 18 (1921 წ.) აშხაბადში: საშუალო — პლუს 23,2, მაქსიმალური — პლუს 43 (1898 წ.), მინიმალური — პლუს 6 (1932 წ.). მოსკოვში მაისის საშუალო ტემპერატურაა — პლუს 11,7 გრადუსი, მაქსიმალური — პლუს 31 (1887 წ.) მინიმალური — პლუს 32 (1925 წ.).

## ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

ივარდავა დ. — მარადი გზებით (ლექსი) . . . . .	1	ვაილოძე ნ. — დაუვიწყარი წლები (ნარკვევი) . . . . .	18
ლალიძე ნ. — სახელოვანი იუბილე (წერილი) . . . . .	2	ჩხიკვაძე ვ. — პიონერული (ლექსი) . . . . .	20
ფოცხიშვილი მ. — პიონერული ფიცი (ლექსი) . . . . .	3	ჩხატინი მ. — ახალი ლექსები . . . . .	20
ლუშაშვილი ზ. — პიონერული ფოლადი (წერილი) . . . . .	4	ცაჩუაძე ვ. — არ დაიდარდო, დედა! (ნარკვევი) . . . . .	22
გვილოცავენ . . . . .	6	გოჩიტაშვილი გ. — წითელწყაროელი კვლამაძიებლები (წერილი) . . . . .	25
ტაბატაძე კ. — ფრესკა (მოთხრობა) გაგრძელება . . . . .	6	დემურხანაშვილი ს. — ჩემი ძმა (მოთხრობა) . . . . .	26
მგალობლიძე ნ. — პიონერული დიდების წიგნი (წერილი) . . . . .	18	გოგოლაშვილი ი. — იგონებენ ვეტერანები (წერილი) . . . . .	30
გვილოცავენ . . . . .	15	მაისი — . . . . .	32
ასლანიძე პ. — ეს იყო წინათ, ეს იყო ახლახან (წერილი) . . . . .	16	ცხრაკლიტული... გარეკანის მესამე გვ.	

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ზ. ფორჩხიძეს.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შველია.  
 სარედაქციო კოლეგია: შოთა ბაბუღია, ნოდარ გუგუშვილი, შოთა დვდარიანი, სერგო კლდიაშვილი, გუგუშვილი, ზურაბ ლეშაშვილი, ზურაბ ლუშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიუშანი, თენგიზ სამხონაძე, გიორგი ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

<p>ჩვენი მისამართი:          თბილისი, ლენინის ქ. № 14.          ტელეფონები:          რედაქტორის — 93-97-05          93-31-81          პ/მგ. მდივნის          93-97-08 93-53-05          განყოფილებების — 93-97-02          93-97-01</p>	<p>საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.          «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии          Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.          გალავა ასაწყობად 17/III-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/-IV 72 წ. ქალაქის ფორმატი          60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.          შეკვ. № 1054. ტირ. 132.900. უფ. 01812.</p>	<p>ფახი 20 კაბიკი</p>
---	--	-------------------------------


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.  
 თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



მარაგულად: 2. და-  
სავლეთ საქართველოს უდი-  
დესი მდინარე; 3. კუნ-  
ძულთა მწკრივი ოხოტის  
ზღვაზე; 5. უარყოფის აღ-  
მნიშვნელი ნაწილაკი; 7.  
ცნობილი გერმანელი ფიზი-  
კოსი; 9. მდინარე დასავლეთ  
ციმბირში; 10. ცნობილი

ნაკადული, ანუ?; 23. ნელი  
ქარი, ანუ?; 24. მუსიკალუ-  
რი ბგერა; 26. პერუს დედა-  
ქალაქი; 27. 5. ლომოურის

შვეულად: 1. იტალიის  
ქალაქი; 3. ქვანახშირის  
ერთ-ერთი სახეობა; 4. სა-  
ბერძნეთის დედაქალაქი; 6.  
განთიადი, ანუ? 8. გაუ-  
ყინავი ნავსადგური ბარენ-  
ცის ზღვაზე; 9. მტაცებელი  
ფრინველი; 10 მდინარე აფ-  
ხაზეში; 14. რევოლუცი-  
ური გაზეთი; 16. ცნობილი  
ილუზიონისტი; 19. ანბანის  
შემადგენელი ნაწილი; 21.



გერმანელი კომპოზიტორი;  
11. ყვავილის ერთ-ერთი სა-  
ხეობა; 12. თანხმობის აღმ-  
ნიშვნელი ნაწილაკი; 13.  
მდინარე ინდოეთში; 15.  
ცნობილი საბჭოთა ავია-  
კონსტრუქტორი; 17. ქა-  
ლაქი კასპიის ზღვის ჩრდი-  
ლოეთ სანაპიროზე; 18.  
ქალაქი ზაიკალისპირეთში;  
20. კიმიური ელემენტი; 22.

მოთხრობა; 28. კუნძული კა-  
რიბის ზღვაზე; 30. სოფელი  
სამხრეთ ოსეთში; 31. ინგ-  
ლისური სიგარტის საზომი  
ერთეული;

უცნობის აღმნიშვნელი სი-  
ტყვა მათემატიკაში; 22. გე-  
ომეტრიული სხეული; 25.  
ვოკალურ-ინსტრუმენტული  
ანსამბლი; 26. გარეული  
ცხოველი; 29. იალქანი, ანუ?

ტარიელ კაპანაძე,  
ხაშურის I საშუალო სკო-  
ლის VIII კლასის მოსწავ-  
ლე.

შარადა

ჭერ გვინდა თეთრი კენჭებით  
სავსე პაწია თახჩა;  
მერე კი — გამოსაცნობი  
ერთი რამელა დარჩა:  
ის კარგად თუ არ გახურდა,  
პურს არ დაიკრავს მაშინ, —  
შარადას არა სჭირდება,  
ბგერა რომ უზის თავში;  
დანარჩენს ჩასვამ პირველი  
სიტყვის მარცვალთა შორის,  
საჩინო სახელს მიიღებ,  
პასუხი მითხარ სწორი.

შოთა ამირანაშვილი.

პასუხი № 4-ში  
მოთავესაგულ  
„სხრაკლიგულა“  
ქ რ ო ს ვ ო რ დ ი  
შვეულად: 1. კროლი;  
2. იდეა; 3. სომლი; 4. ის-  
ტრი; 6. პასხაუ; 7. კა-  
ვაზაშვილი; 8. მადავას-  
კარი; 11. ინგლისი; 12.  
ატლანტი; 13. უხანი; 16.  
ანოდი; 19. მანილა; 23.  
კაუაი; 24. რიონი; 27. წი-  
ლა; 28. ეტნა.  
მარაგულად: 1. კა-  
ტა; 5. პორტობრენსი; 9.  
ძალი; 10. ერხაი; 13.  
უმალ; 14. ანდანტე; 15.  
კამა; 17. ასკილი; 18.  
ლარტყა; 20. იავა; 21. ას-  
ფალტი; 22. აკრი; 25.  
ალტაი; 26. კიტრი; 29.  
კალიმანტანი; 30. არმია.  
შარადები  
I.  
ზამთარი  
II.  
თოვლი



გამოგაებეძე

ხდება ხოლმე, რომ ფი-  
ცრიდან ლურსმანი ისე  
გინდა ამოაძრო, რომ ფი-  
ცრის ზედაპირი არ და-  
აზიანო. ამისათვის ლურ-  
სმანის საძრობს ყელზე  
რეზინის მილი ჩამოაცვი.  
თეგს მუყაო ან რეზი-  
ნის რგოლი ჩამოაცვი და  
ხელზე ჩაქუჩს აღარ და-  
იკრავ. ხელმარჯვე ოს-  
ტატს შეიძლება ასეთი  
რჩევა მაინცდამაინც ჭკუ-  
ში არ დაუჭდეს, მაგრამ  
ახალბედა ხელოსანმა ეს  
რჩევა უეჭველად ყურად  
უნდა იღოს.  
ზეთიანი ბოთლი და  
ბუშტურა გარედან ითხუ-

პნება ხოლმე, ხელის და-  
ბანა რომ წამდაუწუმ არ  
დაგვირდეს, ჭურჭელს  
თავზე პერილონის ყულ-  
ფი ჩამოაცვი.

ლითონის დახვეული  
დეტალების სიგარტის გა-  
ზომვა არც ისე იოლია.  
დეტალს მთელ სიგრძეზე  
მიაწებე საიზოლაციო  
ლენტი, შემდეგ ეს ლენ-  
ტი მოხსენი და მისი სიგ-  
არტის მიხედვით, დეტა-  
ლის სიგრძესაც დაადგენ.

მაგნიტის გასასუფთა-  
ვებლად, კარგი იქნება  
თუ საიზოლაციო ლენტს  
გამოიყენებ. მაგნიტს  
მტვერიც კარგად მოცილ-  
დება და ზეგ მიკრული  
ლითონის სხვა ნაწილე-  
ბიც.





614/89




ქურძნის დაწურვა. ვახტანგ ბერიძე. 12 წ.



როზინფონ კრუშო. ირაკლი მახარაძე 12 წ

მალაროელი  
ვაჟა ელიაძე. 14 წ.



ბ. ძნელაძის სახელობის კომუნალური და მოს-  
წავლეთა რესპუბლიკური სასახლის მანდაკე-  
ბის წრის წევრთა ნამუშევრები. ხელმძღვანე-  
ლები: ჯამპარა კრეწაშვილი და მარ-  
ტიან სარაული.

მერანი. ვაჟა მავალიძე. 12 წ.



ირმები.

მალხაზ ცინცაძე.  
10 წლის.

გველთან ბრძოლა.

